# სარბიელი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 18 თებერვალი 2008 №035 (3259) ფასი 50 თეთრი


## პეკინი უკვე გაავარცეთ

### მარიამ ქევხიშვილმა ლიცენზია ჰკრა



## ვალერი ლიპარტელიანმა მსოფლიოს თასი დააიპოვნა



## კობიაშვილმა დაამარგვალა



# ცივი სეზონი ცივად არ დაიწყო

### სამი დღის მობრუნებულმა ზესტაფონმა საქმე რუსთავშივე წინ წაიგდო

## პატარა გორი თასზე დიდია




## საქართველო ლისაბონში გაერთიანდება

დღეს გამთენიისას საქართველოს სარაგბო ნაკრები ლისაბონში გაფრინდა, სადაც 23 თებერვალს მასპინძელ პორტუგალიას საერთათასო მატჩში დაუპირისპირდება. საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ტიმ ლეინმა სამი დღის წინ გააცხადა საამატჩო 22-კაცა რაზმი, თუმც ცვლილებებს მაინც ვერ გადაურჩა.

გადაწყვეტილი ამბავია, რომ ლისაბონში ვერ ირაგბებს მერაბ კვირიკაშვილი, რომელიც ფრანგულმა კლუბმა „პომ" სანაკრებოდ არ გაათავისუფლა, მის ადგილს კი თბილისის „ლელოს" უნივერსალი უკანახაზელი ირაკლი ყიასაშვილი დაიკავებს. ყიასაშვილს ნაკრებში დებიუტი 2 თებერვალს თბილისში სწორედ პორტუგალიასთან (31:3) მოგებულ მატჩში ჰქონდა.

თავში ვთქვით, რომ ლისაბონში საქართველოს ნაკრები გამთენიისას გაფრინდა. დავაკონკრეტოთ: თბილისიდან მხოლოდ მწვრთნელები და აქ მოთამაშე მორაგბეები გაემგზავრნენ, ლეგიონერები კი საძმოს ლისაბონში შეუერთდებიან. ერთიც, გამორიცხული არ არის, ერთი-ორი ცვლილება წინასამატჩო შეკრებაზე კიდევ მოხდეს.

დღეისთვის კი საპორტუგალიო შემადგენლობა ასეთია:

შერკინება: გოდერძი შველიძე, დავით ქუბრიაშვილი, დავით დადუნაშვილი, ირაკლი ნატრიაშვილი, ანტონ ფეიქრიშვილი, ლევან დათუნაშვილი, გიორგი ნემსაძე, კახა უჩავა, სიმონ მაისურაძე, დიმიტრი ბასილაია, შალვა სუთიაშვილი, რატი ურუშაძე;

უკანა ხაზი: ირაკლი აბუსერიძე, ბიძინა სამხარაძე, ლაშა მალაღურაძე, ირაკლი ყიასაშვილი, რევაზ გიგაური, ლექსო თოდუა, ირაკლი ჩხიკვაძე, ოთარ ბარკალაია, დავით კაჭარავა, გიორგი შკინინი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩემსას გავიტან!

## ალექსანდრე იაშვილმა მარცხენა ფლანგი დახუთა

ბუნდესლიგის მორიგ ტურში, გუშინწინ „კარლსრუემ“ „ლევერკუზენს“ უმასპინძლა და ფრეს დასჯერდა — 2:2. ალექსანდრე იაშვილი კი მოედანზე ერთ-ერთი საუკეთესო იყო და მასპინძელთა გამთანაბრებელი გოლიც ჯოშუა კენედიმ მისი ჩინებული პასით გაიტანა.

ჩვენიანმა, როგორც ამ ბოლო დროს, „ლევერკუზენთანაც“ მარცხენა ნახევარმცველად ითამაშა და მეტოქეს პრობლემები არ დააკლო, „კარლსრუეს“ თითქმის ყველა შეტევა სწორედ იაშვილის ფლანგიდან იწყებოდა.

მოკლედ „კარლსრუეს“ ქართველი, რომელიც იქ ამ სეზონის წინ გადავიდა, უკვე ერთ-ერთ ლიდერად ითვლება, ხოლო ბუნდესლიგის დებიუტანტი მისი გუნდი აღარ ხუმრობს და ევროსაგზურს უმიზნებს.

ვნახოთ, რა და როგორ გამოუვათ იაშვილსა და „კარლსრუეს“, იქამდე კი ეს ინტერვიუ წაიკითხეთ...



— ჯერჯერობით მართლაც კარგად მიდის ჩვენი საქმეები, ყველანი კმაყოფილები ვართ. ჩემპიონატის ამ ეტაპზე „კარლსრუესგან“ ასეთ შედეგს ბევრი არ ელოდა — გვითხრა ალექსანდრე იაშვილმა, რომელსაც გუშინ დავუკავშირდით — ბუნდესლიგის დაწყებამდე „კარლსრუეს“ მიზანი ათეულში მოხვედრა იყო, თუმცა ჩვენი გუნდის სიძლიერეში, ვფიქრობ, ახლა ყველა დარწმუნდა და იმედი გვაქვს, რომ მოპოვებულ უპირატესობას აღარ გავფლანგავთ. დღესდღეობით „კარლსრუე“ უეფას თასის საგზურზე ფიქრობს.

— გერმანული პრესა აღნიშნავს, რომ ალექსანდრე იაშვილი არა მხოლოდ „ლევერკუზენთან“ ბოლო ტურის მატჩისას, წინა ორ თამაშშიც საუკეთესო იყო...

— მადლობის მეტი რა მეთქმის. ისე, მგონი, რომ პირველი წრის ბოლო ორი მატჩი და მეორე წრის ეს თამაშები მართლაც კარგად ჩავატარე. მართალია, კიდევ მეტი შემეძლო, მაგრამ...

**— რას გულისხმობ?**

— გოლს. „კარლსრუეში“ ჯერ გოლი არ გამიტანია, არადა, საამისო შანსი „ლევერკუზენთანაც“ ორჯერ მქონდა — ჩემი დარტყმული ერთხელ მეკარემ სასწაულებრივად მოიგერია, მეორედ კი ბურთს მცველი გადაელობა.

**— და როდის ველოდოთ იაშვილის პირველ გოლს „კარლსრუეს“ მაისურით?**

— აი, ახლა, მომდევნო ტურში თუ გავიტანე, ძალიან მაგარი იქნება. შაბათს შტუტგარტში ვთამაშობთ და ამ შეხვედრას მთელი გერმანია დიდი ინტერესით ელის. „შტუტგარტი“ — „კარლსრუე“ ერთ-ერთი გამორჩეული დერბია და თუ „შტუტგარტს“ გავუტანე, ჩემთვისაც და მთელი კარლსრუესთვისაც კარგი საქმე იქნება. იმედი მაქვს, ჩემი ნავსი სწორედ ამ დერბიში გატყდება და პირველ გოლს გავიტან.

**— ახალ გუნდში ახალ პოზიციაზე თამაშობ, არ გიჭირს?**

— არა, ყველაფერი კარგადაა და არანაირი პრობლემა არ მაქვს. პირიქით, უკვე შევეგუე ნახევარდაცვის ფლანგზე თამაშს და ვფიქრობ, რომ ამ საქმეს ნორმალურად ვაკეთებ.

**— ჩანს, რომ ნახევარდაცვაში შეტევაზე უფრო ხარ აქცენტირებული...**

— ასეა. მარცხენა მხარეს დაცვას აიხნერი აკონტროლებს, თავად კი თავდამსხმელებს ვეხმარები. დაცვა ნაკლებად არის ჩემი საქმე — მწვრთნელის აზრითაც ასეა და მეც ასე ვფიქრობ, რომ შეტევაში უფრო სასარგებლო ვარ. აიხნერმა კარგად იცის თავისი საქმე და ეს ჩემთვისაც მნიშვნელოვანია. ერთმანეთის კარგად გვესმის.

**— და არ არის შანსი, რომ თავდასხმაში ითამაშებ?**

— ამის შანსი ძალიან მცირეა. ჩვენ ისეთი ტაქტიკით ვთამაშობთ, რომ წინ უფრო ბრგე და ტანმაღალი თავდამსხმელი გვჭირდება. ისე, საგოლე მომენტები ფლანგიდანაც მქონდა, თუმცა, სამწუხაროდ, ვერ გამოვიყენე.

**— არადა, მარცხენა ფლანგიდან „კარლსრუემ“ უკვე რამდენიმე გოლი გაიტანა...**

— მეორე წრის ხუთივე გოლიდან ხუთივე მარცხენა ფლანგიდან გავიტანეთ და ეს ჩემთვის საამაყოა...

**— თუმცა შენი გოლი კი იგვიანებს...**

— იმედია, ეს გოლი შტუტგარტში იქნება...

**ძოგა ინასარიძე**



# კობი 250

## ქართველმა ბუნდესლიგა დაამრგვალა

**პარასკევს** გელზენკირხენის „შალკე“ „ვოლფსბურგთან“ შინ 1:2 დამარცხდა, თუმცა მასპინძელთა ქართველი ნახევარმცველისთვის ეს მატჩი მაინც გამორჩეული იყო — ლევან კობიაშვილი ბუნდესლიგაში 250-ედ გავიდა მოედანზე!

ბუნდესლიგაში კობის დებიუტი 1998 წლის 12 სექტემბერს, „ფრაიბურგი“ — „ბაიერნის“ მატჩში შედგა. მანამდე კი, იგი ფრაიბურგელებთან ერთად, მეორე ბუნდესლიგაში თამაშობდა.

2003 წელს კობიაშვილმა კონტრაქტი „შალკესთან“ გააფორმა და უკვე ხუთი სეზონია, ამ გუნდის ერთ-ერთი ლიდერია.

გელზენკირხენელებთან ერთად ლევანი ორჯერ გახდა გერმანიის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი, ქვეყნის და ლიგის თასების ფინალისტი და ლიგის თასის მფლობელი.

ბუნდესლიგური 250 მატჩის გარდა, კობიაშვილს მეორე ბუნდესლიგაში 43 თამაში აქვს ჩატარებული.

**ძახა შალამბერიძე**

# აურია და ზაურია

## სიმურგული სიმულაცია: ქაღალდის ბოდიში აზერბაიჯანიდან

**გეხსომებათ,** 1 თებერვალს, „ამერი“ — „სიმურგის“ ამხანაგური მატჩისას უსიამოვნო ინციდენტი მოხდა: აზერბაიჯანელთა თავდამსხმელმა რამინ ნასიბოვმა არბიტრ დავით ხარიტონაშვილს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა.

მაშინ „სარბიელმა“ ამ ამბავს შესაბამისი გამოხმაურება მოაყოლა, გარდაბანში დაბადებულ-გაზრდილი ნასიბოვის საქციელი დაგმო და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას რეაგირებისკენ მოუწოდა. რამდენიმე დღეში შედეგიც გამოჩნდა — ფედერაციის მსაჯთა და დამკვირვებელთა განყოფილებაში „სიმურგის“ პრეზიდენტ ზაურ მამედოვის წერილი მივიდა...

„საფეხბურთო კლუბ „სიმურგის“ ხელმძღვანელობა ნანობს „ამერთან“ მატჩში მომხდარის გამო. რამინ ნასიბოვი შეკრებიდან განთავისუფლებულია, დაისჯება გვარიანი თანხით და 5-მატჩიანი დისკვალიფიკაციით. მომავალში კლუბი განიხილავს მისი გარიცხვის საკითხსაც. მატჩის არბიტრ დავით ხარიტონაშვილს კი ბოდიშს ვუხდით“ — ასეთი იყო ფედერაციაში მისული წერილის შინაარსი, რომელიც 6 თებერვლის „სარბიელში“ გამოქვეყნდა.

ამ ამბავს რაღა გაგვახსენებდა, მაგრამ... შაბათს მომხდარის მერე სხვა გზა არ გვაქვს: „სიმურგმა“ ხარიტონაშვილის წინააღმდეგ ჩადენილ საზიზღარ ქცევას საზიზღარი ტყუილიც მიაყოლა.

გუშინწინ აზერბაიჯანის ჩემპიონატის მეორე წრე დაიწყო. „სიმურგი“ სტუმრად 2:2 დაუზავდა „ყარაბახს“ და... პირველი გოლი რამინ ნასიბოვმა გაიტანა!

ესეც თქვენი 5-მატჩიანი დისკვალიფიკაცია...

**ძახა შალამბერიძე**



# დავით ყიფიანის თასის ყაზბეგის გათამაშება
## მეოთხედფინალი. პირველი მატჩები

www.pfl.ge

ერ… ბიბ…

რუსთავი. 17 თებერვალი. 14 საათი. ფოლადი. 2 000 მაყურებელი

### ოლიმპი 0:1 ზესტაფონი

0:1 გოცირიძე (84)

| | |
|---|---|
| **ოლიმპი:** მერლანი, სილაგაძე, მახვილაძე, ჭიჭველიშვილი, გაბედავა, დევდარიანი (ჯოჯუა 69), კახელიშვილი, გეწაძე, ომელიანოვი, ზ. მეტრეველი (ყრუაშვილი 63), სტეფანიშვილი<br>*სათადარიგონი:* შეყრილაძე, რეხვიაშვილი, მგელაძე, აკუასაგა, სებისკვერაძე<br>**მწვრთნელი:** ანატოლი პისკოვეცი | **ზესტაფონი:** გ. ქანტურია, ს. თოდუა, უ. ლობჟანიძე, საჯაია, რ. ონიანი, კესანი, ბენაშვილი, ნ. კვასხვაძე (გ. ხიდეშელი 68), ბიტოო (იონანიძე 74), ვიეირა, ბ. გოცირიძე<br>*სათადარიგონი:* რ. კვასხვაძე, შ. ღონღაძე, ხუმარაშვილი, დაუშვილი, ჟონატასი<br>**მწვრთნელი:** თემურ მახარაძე |

**გაფრთხილება:** ბენაშვილი (43), კესანი (51), გოცირიძე (64), გაბედავა (65), კახელიშვილი (79)

**მსაჯები:** ლ. კვარაცხელია, ლ. მიქელაძე, ზ. ჯვარიძე, დ. ხარიტონაშვილი



გუშინ „ფოლადზე": „კოლხიდას" ოპერატორების ნამუშევარი ტელემაყურებელმა ვერ იხილა

# ტელერეპორტაჟი პრობლემების გამო გადაიდო
## თამაში, რომელიც ერთ გოლად ღირდა

**ილია ნანობაშვილი** რუსთავიდან

**კლუბმა,** რომელმაც რამდენიმე დღის წინ თვითლიკვიდაცია გამოაცხადა, სათასო ნახევარფინალისკენ მოზრდილი ნაბიჯი გადადგა — სტუმრად გატანილი ერთი გოლიც კი ბევრს ნიშნავს, მით უმეტეს, რომ კარს მშრალად ინახავ. მარტო ანგარიშიც არ არის საქმე, „ზესტაფონი" ოდნავ უკეთეს გუნდად გამოჩნდა, თუმცა ამაში ეჭვი ისედაც არ გვეპარებოდა.

ლამაზ თამაშს რომ ვერ ვნახავდით, მოყავისფრო-მოშავო მინდვრის დანახვისთანავე მივხვდით. ტალახიანმა გაზონმა ეშხი მოაკლო მატჩს, თორემ ბრძოლა, იცოცხლეთ, ყველა გოჯზე იყო. ლამაზი (რასაც ჰქვია) მომენტი მხოლოდ ერთი ვნახეთ და ისიც გოლით დამთავრდა: ალექსი ბენაშვილმა მოკლე დაფარული პასით „ოლიმპის" მცველებს გააპარა ბექა გოცირიძე და 19 წლის ფორვარდმაც მირზა მერლანს ძლიერი დაურტყა ზედა კუთხეში — 0:1, ეს 84-ე წუთზე მოხდა და მასპინძლებს გასათანაბრებლად აღარც ღონე შერჩათ და აღარც დრო.

ჯერ ადრეა „ოლიმპის" სისუსტეზე ლაპარაკი, გუნდი შემადგენლობით დასუსტდა, ახლები მოვიდნენ და მათ შეთამაშებას დრო სჭირდება, ასე რომ, ანატოლი პისკოვეცის რაზმი კიდევ კარგად ებრძოლა „ზესტაფონს" — მერე რა, რომ ფეროელებს გოგი ფიფია და გიორგი ჭელიძე აკლდათ...

და რატომ აკლდათ? მიზეზი იმერელთა მწვრთნელმა თემურ მახარაძემ ნამატჩევს გვითხრა პრესკონფერენციაზე.

ჰო, „ოლიმპის" ახალწვეულებიდან განსაკუთრებულ ინტერესს უკრაინელი ალექსანდრ ომელიანოვი იწვევდა, სწრაფი, მოძრავი, თავდამსხმელია, მაგრამ მეტს ნუ შევაქებთ — გუშინ საიმედოდ ჰყავდათ ამოკეტილი მცველებს.

თამაშს მივყვეთ. მე-16 წუთზე სადავო მომენტი იყო, როცა ედიკ საჯაიას თავის საჯარიმოში ხელზე მოხვდა ბურთი, მაგრამ მსაჯმა პენალტის დანიშვნა არ ისურვა. ტაიმის ბოლოს კი „ოლიმპმა" ერთი მწვავე შეტევაც გამოაცხო — რევაზ გეწაძის დარტყმას არეულობა მოჰყვა და გრიგოლ ჭანტურიას ბაქანთან აბლანდული ბურთი სტუმრებმა ძლივს მოიგერიეს.

მეორე ნახევარში სურათი არ შეცვლილა, ბრძოლა იყო, ფანტაზია არა, ამიტომაც საგოლე მომენტი თითქმის არ იქმნებოდა. მხოლოდ ერთი, შეცვლაზე შესულმა ზურაბ იონანიძემ მარჯვნიდან შეასრიალა ბურთი „ოლიმპის" საჯარიმოში, იქ კი გიორგი ხიდეშელმა და გოცირიძემ ერთმანეთს ხელი შეუშალეს. კარგი დარტყმა ვერ გამოვიდა და მერლანიც იოლად დაეუფლა ბურთს.

მერე კი იყო ლამაზი გოლი და „ზესტაფონიც" აშკარად გაფავორიტდა ამ წყვილში.

ერთიც, მატჩი კომპანია „კოლხიდას" პირდაპირ ეთერში უნდა გადაეცა, თუმცა რეპორტაჟი არ ყოფილა...

„ყველაფერი მზად იყო, მაგრამ მცირე ტექნიკური პრობლემები შეიქმნა. „კოლხიდა" ჩემპიონატის მეორე წრის პირველი ტურიდანვე დაიწყებს მატჩების ტრანსლირებას, 23 თებერვალს „დინამო" — „ოლიმპი" გადაიცემა" — გვითხრა პროფლიგის გენერალურმა მდივანმა პაატა ბურჯალიანმა.



ბექა გოცირიძის გოლი „ზესტაფონისთვის" ძალიან ფასეულია

### პრესკონფერენცია

*ანატოლი პისკოვეცი:* მინდვრის და ამხელა შესვენების შემდეგ პირველი თამაშის კვალობაზე, კარგი მატჩი გამოვიდა. ძლიერ გუნდთან თანაბარ ბრძოლაში წავაგეთ, ასე რომ, საგანგაშო არაფერია. ბევრი ახალწვეული მყავს და როდესაც ისინი უკეთ შეთამაშდებიან, შედეგიც გაუმჯობესდება. მჯერა, ასეც იქნება.

*თემურ მახარაძე:* ორივე გუნდი კარგად იყო ფიზიკურად მომზადებული. რთული მატჩი იყო და ვფიქრობ, საპასუხო შეხვედრაშიც არ გვექნება საქმე იოლად.

— ფიფია და ჭელიძე რატომ არ იყვნენ განაცხადში?

— ფიფიას „ზესტაფონთან" კონტრაქტი ზაფხულში უმთავრდება. ჩვენს კლუბში ასეთი სტრატეგიაა: როცა ფეხბურთელს მცირე დრო რჩება კონტრაქტის ამოწურვამდე, გაგრძელებას ვთავაზობთ. ფიფიამ კი უარი თქვა სამწლიან კონტრაქტზე. ანალოგიურადაა ჭელიძის საკითხიც. „ზესტაფონს" მრავალწლიანი პროგრამა აქვს და კლუბს ურჩევნია, ის ფეხბურთელები ათამაშოს, რომლებიც ამ პროგრამაში განიხილებიან. ისე კი, ფიფიაც და ჭელიძეც დიდი ძალაა ჩვენთვის, თუმც ეს კლუბის ხელმძღვანელობის გადასაწყვეტია და რაზე შეთანხმდებიან ამ ფეხბურთელებთან, მე ვერ გეტყვით.

# ვიტ ჯორჯიამ წამოსვლამდე წააგო

**თურქულ** შეკრებაზე მყოფმა „ვიტ ჯორჯიამ" თბილისში დაბრუნებამდე ბოლო ამხანაგური მატჩი გამართა და ყაზახურ „ორდაბასთან" 1:2 დამარცხდა.

ვიტელებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: *ბედიაშვილი, ბეჭვაია, დ. ლომაია, ა. კვახაძე (ყველაშვილი 53), ჯაფარიძე, რაზმაძე, კვალიანიძე, კლიმიაშვილი, გ. მელქაძე (ინჯგია 64), ბ. ცხადაძე (ბერიაშვილი 54), სახოკია (ლიპარტია 27).*

ყაზახებმა „ვიტ ჯორჯიას" 32-ე წუთზე შორეული დარტყმით გაუტანეს გოლი, დავით ლომაიამ კი პირველივე ტაიმში გაათანაბრა ანგარიში, თუმცა შესვენების შემდეგ მეტოქემ იძალა და 1:2.

ნესტორ მუმლაძის გუნდი თბილისში დღეს დაბრუნდება.

**კახა შალამბერიძე**

გორი. 17 თებერვალი. 14 საათი. თენგიზ ბურჯანაძე

### დილა 3:2 ბორჯომი

1:0 გ. წინამძღვრიშვილი (21), 2:0 ბალიაშვილი (36), 2:1 თედიაშვილი (82), 3:1 შატაკიშვილი (83), 3:2 ჩირიკაშვილი (90)

**მსაჯები:** ლ. სილაგავა, გ. ჩიგოგიძე, ბ. ჭიჭინაძე, ა. კრიჭაშვილი

გორი. 18 თებერვალი. 14 საათი. ქართლი

### სპარტაკი — დინამო

**მსაჯები:** გ. ვადაჭკორია, მ. ელიკაშვილი, ზ. ხუციშვილი, მ. ბეუქლიშვილი

გორი. 19 თებერვალი. 14 საათი. თენგიზ ბურჯანაძე

### მაღაროელი — ამერი

**მსაჯები:** ლ. ფანიაშვილი, ზ. მენთეშაშვილი, კ. გაბრიაძე, პ. დოგრაშვილი

# მალხაზ ასათიანი: ჯერ ისევ ცალკე

**თურქულ** ბელეკში შეკრებაზე მყოფმა მოსკოვის „ლოკომოტივმა" სლოვენიურ „ოლიმპიას" 2:0 მოუგო.

ქართველთაგან მინდორზე მხოლოდ დავით მუჯირი გამოჩნდა — რკინიგზელთა ახალწვეული 63-ე წუთზე შევიდა შეცვლაზე.

„ლოკომოტივის" მეორე ქართველი მალხაზ ასათიანი კი ჯერაც ტრავმას იშუშებს და განაცხადშიც არ ყოფილა. ლატვიასთან ამხანაგურ მატჩში დაშავებული ასათიანი ინდივიდუალური პროგრამით ვარჯიშობს და გუნდს დღე-დღეზე შეუერთდება.

მომავალ ამხანაგურ მატჩს „ლოკომოტივი" 18 თებერვალს გამართავს ბელგოროდის „სალუტ-ენერგიასთან".

**კახა შალამბერიძე**

# გიორგი ციმაკურიძე ზაკარპატიემაც დაიწუნა

**უჟგოროდის** „ზაკარპატიემ" უარი თქვა გასინჯვაზე მყოფი გიორგი ციმაკურიძის გუნდში დატოვებაზე — წერს უკრაინული ინტერნეტ-გამოცემა FOOTBALL-ი.

ციმაკურიძემ უკრაინის ჩემპიონატის პირველი წრე ლუგანსკის „ზარიაში" გაატარა, საიდანაც ზამთრის შესვენებისას დაითხოვეს. ამის შემდეგ იგი სიმფეროპოლის „ტავრიაში" ისინჯებოდა და ამხანაგურ მატჩებში 2 გოლიც გაიტანა, მაგრამ საბოლოოდ, ყირიმელებმა მაინც უარი თქვეს მასზე.

ბოლოს ციმაკურიძემ „ზაკარპატიეს" მიაშურა, მაგრამ...

შეგახსენებთ: „ზაკარპატიეში" რუსთავის „ოლიმპის" მცველი სერგო ორბელაძეც ისინჯება.

**კახა შალამბერიძე**

# ბაბუნაშვილი დაშავდა

**ლატვიურ** „დინაბურგში" გასინჯვაზე მყოფი შოთა ბაბუნაშვილი ფერგანის „ნეფთჩისთან" ჩატარებულ ამხანაგურ მატჩში დაშავდა.

„დინაბურგი" 1:2 დამარცხდა.

ქართველი ნახევარმცველი ძირითად შემადგენლობაში იყო და მე-10 წუთზე შესაცვლელი გახდა.

რაც შეეხება ლატვიელთა მეორე ქართველ ბაქარ გიორგაძეს — ფერგანელების წინააღმდეგ არ უთამაშია.

მომდევნო მატჩს „დინაბურგი" 18 თებერვალს გამართავს ქართველებით სავსე მახაჩყალის „ანჟისთან".

**კახა შალამბერიძე**

# თარხნიშვილი კი, ძმები არა

**კვიპროსულ** შეკრებაზე მყოფმა ტირასპოლის „შერიფმა" ამხანაგური შეხვედრა ჩაატარა რუმინულ „რაპიდთან" და 1:1-ზე გაეყარა.

მოლდოველთა ქართველი კაპიტანი თარხნიშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და შეუცვლელად ითამაშა.

რუმინელებთან არ უთამაშიათ ვალტერ და პავლე ხორგუაშვილებს, რომლებიც „შერიფმა" სარეზერვო გუნდიდან დაიმატა.

**კახა შალამბერიძე**

# ბრესტული შედი-გამოდი

**ბრესტის** „დინამოსთან" ერთად თურქეთში მყოფმა რომან გოგინაშვილმა და გია თოდუამ ამხანაგური მატჩი ლატვიურ „დაუგავასთან" ჩაატარეს და 2:0 მოიგეს.

თოდუა ძირითად შემადგენლობაში იყო და მე-20 წუთზე გოგინაშვილმა შეცვალა. თავის მხრივ, გოგინაშვილი პირველი ტაიმის შემდეგ დაასვენა მწვრთნელმა.

**კახა შალამბერიძე**

# ვინ ჩამოიყვანს ნაევროპალ იტალიას საქართველოში?

## დონადონის მინიმუმი 1/2 ფინალია



**იტალიის** ნაკრების მთავარ მწვრთნელ რობერტო დონადონის კონტრაქტს იმ შემთხვევაში გაუგრძელებენ, თუ მისი „სკუადრა ატურა" 2008 წლის ევროპის ჩემპიონატზე ნახევარფინალში მაინც გავა.

დონადონი იტალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ჯანკარლო აბეტეს შეხვდა და მწვრთნელსაც მიზანი მაშინ დაუსახეს.

თუ დონადონი ამ ამოცანას ვერ შეასრულებს, 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში საქართველოს ერთ-ერთ მეტოქეს სხვა მწვრთნელი ეყოლება.

**კახა შალამბერიძე**






ЛОСЬКОВ
10
МУДЖИРИ



# შემტევმა მუჯირმა შეტევები უნდა მოიგერიოს

**დიდი** ზეწოლის გადატანა მოუწევს დავით მუჯირს — სამარის „კრილია სოვეტოვიდან" მოსკოვის „ლოკომოტივში" სკანდალურად გადასულმა ქართველმა ნახევარმცველმა რუსულ პრესას ახალი სალაპარაკო გაუჩინა — 10-ნომრიანი მაისურა აილო.

იტყვით, მერე რა, რომელიმე ნომერი ხომ უნდა აერჩიაო, მაგრამ ამ შემთხვევაში საქმე ცოტა სხვაგვარადაა. სიმართლე ითქვას, 10-ნომრიანი მაისურა ადრე უფრო მეტი პოპულარობით სარგებლობდა ფეხბურთში, ამ ბოლოს კი მოთამაშეები ამას განსაკუთრებულ ყურადღებას აღარ აქცევენ და პირიქითაც, ზოგი სულაც, განგებ ირჩევს უცნაურ, ასე თქვათ, ფეხბურთისთვის აქამდე „უცხო" ნომრებს. მაგრამ „ლოკომოტივის" ქომაგებისთვის რიცხვი 10 დმიტრი ლოსკოვს ნიშნავს. რკინიგზელთა კაპიტანი და ლიდერი შარშან გაუშვეს კლუბიდან და მას შემდეგ „ლოკომოტივის" თამაში არ ჩატარებულა, ქომაგებს კლუბის ხელმძღვანელობისთვის ქოქოლა არ დაეყარათ.

ეს ისტორია დღემდე დაუსრულებელია და „ლოკომოტივს" მართლაც რომ ძვირად დაუჯდა ლოსკოვის მოშორება — პლაკატებზე, საპროტესტო აქციებსა თუ მსგავს გამოხატულებებზე ფანები დღემდე არ ამბობენ უარს.

საქმე იქამდეც მივიდა, რომ ახლახან მოსკოვის „სპარტაკიდან" მსუყე თანხად ნაყიდმა ნახევარმცველმა დმიტრი ტორბინსკიმ 10-ნომრიანი მაისურა რომ მოითხოვა, კლუბის ხელმძღვანელობამ სწორედ ქომაგების ზეწოლის გამო უთხრა უარი — ტორბინსკიმაც 7 ნომერი აირჩია.

აქედან ორ კვირაში კი...

„როცა გუნდში ახალი მოთამაშე მოდის, მას სთავაზობენ თავისუფალ ნომრებს. მუჯირმა აირჩია 10, რომელიც ჩვენთან თავისუფალი იყო და ამ საკითხში ზედმეტი ჩაკირკიტება არ ღირს. კი მაგრამ, რატომ არავინ კითხულობს, რატომ აცვია გურენკოს 41 ნომერი? ან რაზვან კოჩიშს თუ 14 ნომერი აქვს, ესე იგი, კრუიფს უნდა შევადაროთ?! მოკლედ, ამ თემის განხილვაში აზრს ვერ ვხედავ. თუ ქომაგები ამის თაობაზე მკითხავენ, არგუმენტირებულ პასუხს გავცემ. მეტს ვეღარაფერს გეტყვით" — განაცხადა „ლოკომოტივის" თავკაცმა რაშიდ რახიმოვმა.

რუსული პრესის ცნობით კი, რკინიგზელთა ფანებმა უკვე გამოთქვეს უკმაყოფილება ამ ყველაფრის გამო, თუმცა მუმუს ეს ჯერ არ ანაღვლებს...

„დმიტრი ლოსკოვთან ეს საკითხი არ განმიხილავს და ვერ ვხვდები, რატომ უნდა მოვქცეულიყავი ასე. ლოსკოვი „ლოკომოტივში" უკვე აღარ თამაშობს და მასთან შესათანხმებელიც არაფერი მაქვს. მე შემომთავაზეს თავისუფალი ნომრები და ავირჩიე 10-იანი. აი, ეს არის მთელი ისტორია" — უთხრა მუჯირმა ჟურნალისტებს.

და, ცხადია, საინტერესო იქნება თავად ლოსკოვის კომენტარიც: „ნომრების განაწილება კლუბის ხელმძღვანელების საქმეა, ამიტომ სულაც არ მიკვირს, რომ ჩემი ნომერი სხვა ფეხბურთელს მისცეს. თუმცა გაგახსენებთ, რომ როცა „ლოკომოტივიდან" მეკარე სერგეი ოვჩინიკოვი წავიდა, მას შემდეგ მისი ნომერი აღარავისთვის მიუციათ..."

**კახა შალამბერიძე**

# ქართველები უცხოეთში

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **იტალია. სერია A** | | | | | | | | |
| კახა კალაძე | მილანი | ს | პარმა 0:0 | 90 | | 18 | 0 | 5 |
| ლევან მჭედლიძე | ემპოლი | ს | ნაპოლი 3:1 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | 16 |
| **ავსტრია. მაქსბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| გიორგი შაშიაშვილი | შტურმი | ს | ტიროლი 0:1 | 90 | გააფრთხილეს | 23 | 0 | 4 |
| **გერმანია. ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ლევან კობიაშვილი | შალკე | შ | ვოლფსბურგი 1:2 | 82 | შეცვალეს | 8 | 1 | 5 |
| ალექსანდრე იაშვილი | კარლსრუე | შ | ლევერკუზენი 2:2 | 90 | საგოლე პასი | 16 | 0 | 6 |
| **გერმანია. მეორე ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| მათე ღვინიანიძე | მიუნხენ 1860 | შ | ჰოფენჰაიმი 0:1 | 0 | ტრავმირებულია | 13 | 0 | 6 |
| ოთარ ხიზანეიშვილი | ფრაიბურგი | შ | აუგსბურგი 1:0 | 1 | შეცვლაზე შევიდა | 2 | 0 | 4 |
| გიორგი ონიანი | კარლ ცაისი | შ | კიოლნი 1:3 | 0 | განაცხადში არ იყო | 9 | 0 | 18 |
| ილია კანდელაკი | კარლ ცაისი | შ | კიოლნი 1:3 | 0 | სათადარიგო | 10 | 0 | 18 |
| გიორგი სეთურიძე | კარლ ცაისი | შ | კიოლნი 1:3 | 0 | განაცხადში არ იყო | 0 | 0 | 18 |
| დავით სირაძე | პადერბორნი | შ | ოსნაბრუკი 1:3 | 0 | განაცხადში არ იყო | 9 | 0 | 17 |
| **ესპანეთი. პრიმერადივიზიონი** | | | | | | | | |
| შოთა არველაძე | ლევანტე | შ | ოსასუნა 2:1 | 0 | განაცხადში არ იყო | 0 | 0 | 20 |
| **შვეიცარია. სუპერლიგა** | | | | | | | | |
| სანდრო იაშვილი | თუნი | შ | ლუცერნი 0:1 | 7 | შეცვლაზე შევიდა | 14 | 1 | 10 |
| **ჩეხეთი. გამბრინუსლიგა** | | | | | | | | |
| გიორგი განუგრავა | ბოლესლავი | შ | იაბლონეცი 1:1 | 0 | სათადარიგო | 0 | 0 | 10 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*



# ვალერის მეტოქეებს ვალერიანიც აღარ შველით

**გასულ** უქმეებზე გაიმართა ავსტრიის მსოფლიოს თასი, რომელშიც საქართველოს ნაკრებმა გადახალისებული შემადგენლობით იასპარეზა. შეჯიბრების პირველ დღეს ჩვენი ფალავნების მაქსიმუმი მერვედფინალი იყო. ამ ეტაპზე, სამწუხაროდ, ტურნირს ერთბაშად ორი ქართველი მოჭიდავე გამოეთიშა. 66 კგ წონით კატეგორიაში ავსტრიელ მაიკლ მაირთან უჩა ხუციშვილი დამარცხდა, 73 კგ წონით კატეგორიაში კი თენგიზ პაპოშვილმა ვერაფერი მოუხერხა იაპონელ მასაჰიკო ოცუკას, ვისთანაც მან იუკოთი და კოკათი დათმო შეხვედრა.

60 კგ წონით კატეგორიაში ამირან პაპინაშვილმა საწყისი ორთაბრძოლა წააგო და შემდეგ რეპეშაჟშიც ეგრევე დამარცხდა.

ტურნირის მეორე დღე ქართველებისთვის გაცილებით შედეგიანი გამოდგა. 81 კგ-ში საბა გავაშელიშვილმა მესამე ადგილი დაიკავა. საბამ ჯგუფის პირველ ორთაბრძოლაში კი წააგო სლოვენიელ აიჯაზ სედიჯთან, მაგრამ რეპეშაჟში სულ იპონებით დაჩაგრა მეტოქენი. ჯერ ჩინელი ლეი გუო დასცა, შემდეგ ჩეხი ტომაშ მუსკიც მოინელა, უნგრეთის წარმომადგენელი შანდორ ნაგისოლიმოშიც იგივე გზას გაუყენა, გერმანელი დენის ჰაკიც დაავდო იპონიზე და მესამე ადგილისთვის ბრძოლაში აზერბაიჯანელ მეჰმან აზიზოვსაც ჩააქნევინა ხელი ბრინჯაოს მედალზე.

ამ წონით კატეგორიაში ლევან წიკლაურმაც გვარიანი გზა განვლო მედლისთვის, მაგრამ ბრინჯაოსთვის საბა გავაშელიშვილის წამქცევ აიჯაზ სედიჯთან დამარცხდა.

ახლა კი 90 კგ წონაზე, სადაც ზურაბ ზვიადაურისა და ირაკლი ცირეკიძის არყოფნაში ვალერი ლიპარტელიანი და ბესიკ ტყემალაძე წარმოადგენდნენ საქართველოს.

ვალერი ლიპარტელიანისგან საერთოდ მაღალ შედეგებს მოელიან ძიუდოს სპეციალისტები, მაგრამ ავსტრიის მსოფლიოს თასზე თუ ფინალს უწევდა, ამას ბევრი ვერ იფიქრებდა. 17 წლის ქართველმა ტალანტმა ცუდ დღეში ჩაყარა ყველა გზადშემხვედრი მეტოქე. მოწინააღმდეგეთა რბევა აშშ-ს წარმომადგენელ რიკი პევინით დაიწყო. შემდეგ ლიტველ მარიუს ლაბალაუკისს მოუგო ვაზარით, იაპონელ ტაკუსი მაცუბუშისთან ვაზარს აგებდა, მაგრამ ორი წუთით ადრე მეტოქე იპონზე წამოაქცია. ნახევარფინალში ნიკოლა ნიკოლიჩი (სერბეთი) გაისტუმრა რეპეშაჟში და ფინალში ყაზახ მაქსიმ რაკოვს დაუხვდა.

ფინალურ ორთაბრძოლაში ქართველმა რაკოვი სამიოდ წუთში იპონზე გააკრა ტატამს და ოქროს მედალი მოიპოვა.

100 კგ-ში ლევან რაზმაძემ ჩრდილო კორეელ ნაინგ ჩაოსთან წააგო და გამოეთიშა ტურნირს. მძიმე წონით კატეგორიაში კი გიორგი ყიზილაშვილმა დამამშვიდებელში დათმო იჰარ მაკარაუსთან (ბელარუსი), ხოლო ზვიად ხანჯალიაშვილმა ასევე რეპერაჟში წააგო ბელარუს იური რუბაკთან.

**ზურაბ მიგრიაული**



# პორტუგალიამ ჩეხეთი დაჩეხა

**პორტუგალია 42:6 ჩეხეთი**

**პორტუგალია:** კაბრალი, ფორი, დაა. მატეუში, დი. მატეუში, ესტევესი; კ. პინტე, ჟ. პინტე; გირო, ჟ. უვა, ვ. უვა, გ. უვა, სევერინო, ფალიო, კორეია, აგიარი
*სათადარიგონი:* მირა, გასპარი, კადორი, ა. დუარტე, კუნია, გ. დუარე, აგიარი
**5ლ:** ვ. უვა (2), ფორო, კარბალი, ა. დუარტე; 4: კარბალი; 3ს: კარბალი
**ჩეხეთი:** სკალი, კუტიკი, ჰელერი, ვოვეში, კუკრკა; ბლაჰა, ჩერნი; ბურანეკი, ჟირმანი, კრეიჩი, შლანგერი, კამიდა, როჰლიკი, კოდერა, რუდოლფი
*სათადარიგონი:* ფაიკუში, მორა, ჰოჩკე, პეშეკი, კოტაში, პეკარეკი, იურეკი
1ს: კრეიჩი; 1ა: კრეიჩი

**ერთი თასის** მორიგ მატჩში პორტუგალიამ ლისაბონში ჩეხეთს უმასპინძლა და დიდი ანგარიშით დამარცხა. ამ მატჩში გამოჩნდა, რომ პორტუგალიელთა გადახალისებული შემადგენლობა ნელ-ნელა ძალას იკრებს და, ალბათ, იმავე მობურთალებით 23 თებერვალს ქართველ „ლელოებსაც" უმასპინძლებს. ჩეხეთი კი ტრადიციულად, ყველაზე ადვილად წასაქცევ გუნდად რჩება ერთა თასზე.

**ზურაბ მიგრიაული**

| ევროპის ერთა თასი 2007-08 | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| საქართველო | 6 | 5 | 0 | 1 | +146 | 10 |
| რუსეთი | 5 | 4 | 0 | 1 | +80 | 8 |
| რუმინეთი | 6 | 3 | 0 | 3 | +56 | 6 |
| ესპანეთი | 6 | 3 | 0 | 3 | +23 | 6 |
| პორტუგალია | 6 | 3 | 0 | 3 | +8 | 6 |
| ჩეხეთი | 7 | 0 | 0 | 7 | -313 | 0 |



# პავლიკი ტეილორისთვის მოჩვენებად დარჩა

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ჯერმეინ ტეილორი** დიდი ვერაფერი მოჩვენებებზე მონადირე გამოდგა — მსოფლიოს ექსჩემპიონმა ვერ შეასრულა პირობა და კელი პავლიკს ვერაფერი ვერ მოუხერხა. ოჰაიოს შტატ პატარა ქალაქ იანგსტოუნის წარმომადგენელმა, „მოჩვენებად" წოდებულმა პავლიკმა კვირას, გამთენიისას, ტეილორს მატჩ-რევანშიც მოუგო და კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ საშუალო წონაში ერთ-ერთი უძლიერესია.



ამ მარცხის შემდეგ ტეილორს საწუწუნო აღარაფერი უნდა ჰქონდეს — სამი თვის წინანდელ ჯახზე ამბობდა, მეტოქეს ღია ბრძოლაში ავყევი, ეს ჩემი სტილი არ არის და ამიტომაც დავისაჯეო. აგერ ახლა კი ექსჩემპიონმა ბრძოლაც ჩაკეტა და პავლიკს სივრცეც მოუსპო, მაგრამ ოჰაიოელმა მაინც იმარჯვა.

თავად ბრძოლა საკმაოდ საინტერესო და დაძაბული გამოდგა. თუმცა სამი თვის წინანდელი ჯახისგან განსხვავებით, რომელშიც ნოკდაუნებიც იყო და მეშვიდე რაუნდში ტეილორის ნოკაუტით დასრულდა, ამჯერად უფრო ტაქტიკური დაპირისპირება გაიმართა. პროფესიული კრივის უძლიერეს სტრატეგ ემანუელ სტიუარდთან ვარჯიშზე უარის თქმის მიუხედავად, ექსჩემპიონმა სწორი დასკვნები გამოიტანა თავისი მარცხიდან და პავლიკს სწორი ტაქტიკითაც დაუპირისპირდა — ტეილორი ცდილობდა, რინგის შუაგულში გაჩერებულიყო და ბრძოლა უფრო სტატიკურ ფაზაში გადაეყვანა, რადგანაც საკუთარი გამოცდილებით იცოდა, რომ ბაგირთან ოჰაიოელის მწარე მუშტების გაძლება გაუჭირდებოდა.

ჩვენ კი პავლიკის გამძლეობა უნდა გამოვყოთ — მოკრივემ, რომელიც შოუმენი უფროა, ძირითადად ნოკაუტებით იგებს ხოლმე და აქამდე 12 რაუნდი ერთხელაც არ უჩხუბია, საკუთარ თავს უღალატა და ტეილორის გამოწვევას ღირსეულად დახვდა. მოთმინება, საერთოდ, ჩემპიონთა თვისებაა და პავლიკმა დაამტკიცა, რომ ჩემპიონია. მას გარკვეული პერიოდი დასჭირდა, რათა მეტოქისთვის ალღო აეღო, თუმც ეს საკმაოდ მალე მოახერხა, რის შემდეგაც ნელ-ნელა უპირატესობა მოიპოვა.

ყველაფერი ბოლოსკენ გადაწყდა — პავლიკმა უძლიერესად ჩაატარა მე-11 და მე-12 რაუნდები, რომლებშიც აშკარად დაჩაგრა მეტოქე და გვარიანადაც ურტყა. ოჰაიოელმა მხოლოდ იმიტომ ვერ მოიგო ნოკაუტით, რომ ტეილორი მუდმივად კლინჩში შედიოდა და რეფერის მათი გაშველება უწევდა.

„მე-10 რაუნდიდან როგორც იქნა, გამივიდა ჩემი საფირმო დარტყმები. ის აშკარად გადაიღალა — ვხედავდი, რომ ძლივს ძლივობით სუნთქავდა" — ბრძოლის შემდეგ თქვა პავლიკმა.

გამარჯვება სამივე მსაჯმა ერთსულოვნად — 117:111, 116:112 და 115:113 — პავლიკს მიაკუთვნა. სტატისტიკაც მეტყველებს, რომ პავლიკი უფრო აქტიური იყო — ოჰაიოელმა 845-ჯერ მოიქნია მუშტი, რომელთაგან 32 პროცენტი ზუსტი იყო, ტეილორის, შესაბამისად 456-ისა და 39 პროცენტის პასუხად.

„ის მართლაც მშვენიერი მოკრივეა. მართალია, მსაჯებს არ ვეთანხმები, ვფიქრობ, ბრძოლის დასაწყისში საკმარისი გავაკეთე, რომ არ წამეგო, მაგრამ პავლიკი მაინც ყველანაირ ქებას იმსახურებს" — მეტოქის სიძლიერე აღიარა პრესკონფერენციაზე ტეილორმა, რომელიც ახლა საშუალოდან პირველ მძიმე წონაში გადასვლას გეგმავს.

პავლიკს კი ივნისში თავისი WBO-სა და WBA-ს ტიტულების დაცვა მოუწევს. ის სავარაუდოდ, ან პოპულარულ ირლანდიელ მოკრივე ჯონ დაფის, ანაც სამ სხვადასხვა წონაში ექსჩემპიონ ფელიქს ტრინიდადს დაეჯახება.

**კახა ლომაშვილი**

# მე მაღლა ვარ და შენ დაბლა...

## ვალუევმა ლიახოვიჩი იღლიაში გაატარა



**კრივის** ისტორიაში ყველაზე მაღალი და ზორბა ჩემპიონი, აყლაყუდა ნიკოლაი ვალუევი შარშან დაკარგული ტიტულის დაბრუნებას ესწრაფვის. რუსმა თავისი WBA-ს ტიტული აპრილში უზბეკ რუსლან ჩაგაევთან დაკარგა და ბევრმა მასზე ხელიც ჩაიქნია. გუშინწინ გამართული ჯახი რუსის ბოლო შანსი იყო ელიტაში დასაბრუნებლად.

ვალუევი თავისნაირ ბედკრულ სერგეი ლიახოვიჩს ხვდებოდა. მძიმე წონის კიდევ ერთი, WBO-ს ქამარი ამ ბელარუსსაც ჰქონდა, მაგრამ, რუსის დარად, ტიტული შარშან დაკარგა. ჰოდა, ახლა ორივე სახელის აღსადგენად იბრძოდა.

მოლოდინის მიუხედავად, ბრძოლა საკმაოდ უინტერესო გამოდგა. 210 სანტიმეტრიანი რუსი კარგად იყენებდა სიმაღლეში უპირატესობას და გრძელ ხელებს და ჯებით სისხლს უშრობდა მეტოქეს. ვალუევმა ლიახოვიჩი ერთხელაც არ მიიკარა ახლოს და ამით ბელარუსს გამარჯვების ყველანაირი შანსი მოუსპო. ეს კი არა და ვალუევმა, რომელიც რაიმენაირი საკრივო ტექნიკით არასოდეს გამორჩეოდა, რამდენიმე ძლიერი კომბინაციაც გაატარა და ლიახოვიჩი ძაგრადაც დაარეტიანა. ბელარუსის მთავარი მიღწევა ალბათ ის იყო, რომ ბრძოლის ბოლომდე გაძლო და ნოკაუტით არ წააგო. ჰოდა, რაღა გასაკვირია, რომ სამივე მსაჯმა ვალუევის მხარე დაიჭირა — 120:107, 120:108 და 120:108.

ვალუევს ახლა რევანშის შანსი მიეცემა, რადგანაც მას თავის გამამწარებელ ჩაგაევთან მოუწევს რინგზე გასვლა.

**კახა ლომაშვილი**

# ახალგაზრდული საქართველო

გუშინ გლდანის „დუნდუების კრივის დარბაზში" საქართველოს ჩემპიონატი დასრულდა ახალგაზრდა მოკრივეთა შორის. ჩემპიონები, წონითი კატეგორიების მიხედვით, შემდეგი მოკრივეები გახდნენ:

48კგ ლევან კაჟაშვილი
51კგ დავით გასვიანი
54კგ ადილ ასლანოვი
57კგ ლევან ქობულაშვილი
60კგ ზაალ კვაჭატაძე
64კგ გიორგი ჯაყელი
69კგ ჯაბა ხოსიტაშვილი
75კგ რომან თავაძე
81კგ რეზო ხორავა
91კგ ლადო ცაციაშვილი
+91კგ თორნიკე პურიჭამიაშვილი

# ჩვენი შანსი ჩვენს ხელშია

## საქართველოს ნაკრებმა მეტოქეები შეიტყო

შაბათს მორიგი იმედის დღე იყო ქართული კალათბურთისთვის. იტალიის ქალაქ ვენეციაში კენჭისყრა გაიმართა, სადაც ყველა ასაკობრივ ნაკრებთან ერთად ჩვენი ეროვნული გუნდის საკვალიფიკაციო მეტოქეებიც გაირკვნენ. ნაკრებს ჯერ არ ჰყავს მწვრთნელი, მაგრამ, სამაგიეროდ, უკვე ვიცით, თუ რომელ გუნდებთან მოგვიწევს **B** დივიზიონში ბრძოლა. საქართველო მოხვდა **C** ჯგუფში — შვედეთთან, ირლანდიასთან, სლოვაკეთსა და ლუქსემბურგთან ერთად. ანუ, აგვცდა ბოლო კალათაში ურეიტინგობის გამო მოხვედრილი, სინამდვილეში კი არავისზე ნაკლები ჩერნოგორია. გამართლებად შეიძლება ჩაითვალოს ასევე მესამე კალათის ბინადარ ბელარუსის აცდენა, თუმც კარგი და ცუდი კენჭისყრა რომ არ არსებობს, ქართველებმა ეს საკუთარ თავზე უკვე გამოსცადეს. ჩვენებს არაერთხელ ჰქონდათ ჯგუფიდან გასვლისთვის ხელსაყრელი სიტუაციაა, მაგრამ შანსი ყოველთვის ოდენ შანსად რჩება. ესეც მორიგი შანსი, ახალი იმედი და ხელსაყრელი ვითარება. პირველი კალათიდან გამოსულ შვედეთს ჯერ ვსტუმრობთ, ჯგუფის დასკვნით ტურში კი თბილისში ვეთამაშებით — თუ, რა თქმა უნდა, იმ დროისთვის, აქამდელი ბოლო მატჩების დარად, შანსი არ გვექნა წართმეული.

| A ჯგუფი |
|---|
| დანია |
| ჰოლანდია |
| ავსტრია |
| ისლანდია |
| ჩერნოგორია |

| B ჯგუფი |
|---|
| რუმინეთი |
| შვეიცარია |
| ბელარუსი |
| კვიპროსი |
| ალბანეთი |

| C ჯგუფი |
|---|
| . შვედეთი |
| საქართველო |
| სლოვაკეთი |
| ირლანდია |
| ლუქსემბურგი |

**2008 წლის კალენდარი**

6 სექტემბერი
**საქართველო — ლუქსემბურგი**

10 სექტემბერი
**ირლანდია — საქართველო**

13 სექტემბერი
**საქართველო — სლოვაკეთი**

17 სექტემბერი
**შვედეთი — საქართველო**




ირლანდია ყოფილი ნბა-ელით პატ ბურკით იწონებს თავს

**ახალგაზრდული ნაკრები (20 წლამდე)**

ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპი
1-10 აგვისტო. ლატვია
საქართველო
ისრაელი
თურქეთი
იტალია

**ჭაბუკთა ნაკრები (18 წლამდე)**

B დივიზიონი
25 ივლისი-3 მარტი. საბერძნეთი
საქართველო
დანია
ფინეთი
უნგრეთი
სლოვაკეთი

**კადეტთა ნაკრები (16 წლამდე)**

ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპი
15-24 აგვისტო. იტალია
რუსეთი
ისრაელი
საფრანგეთი
საქართველო

### ირლანდია

ერთი შეხედვით, ირლანდია ყველაზე სახიფათო მეტოქე უნდა იყოს ქართველებისთვის, რადგან შემადგენლობაში ჩვენსავით არა, მაგრამ დანარჩენ მეჯგუფეებზე სახელიანი ხალხი ჰყავს. სლოვაკებს საერთოდ არ მოეძებნებათ ლეგიონერი, ხოლო შვედეთის ლიდერები ევროპის ქვედა ლიგებში ვაინაჩრობენ, ამ დროს კი ირლანდიელებს რუსეთისა და იტალიის მოწინავე გუნდებში ჰყავთ თავისიანნი.

გასულ საკვალიფიკაციო ციკლში ირლანდიელთა საუკეთესო მომხსნელი და ერთ-ერთი ბომბარდირი რუსული „ხიმკის" ცენტრი პატ ბურკი იყო. ის სულაც არ გახლავთ ამ მძლავრი გუნდის ღრმა სათადარიგო და მაშინაც იმყოფებოდა მოედანზე, როცა ორი კვირის წინ „ქიმიკოსებმა" რუსეთის თასის ფინალში თვით ცსკა განგმირეს. ბურკს კარგად იცნობს ზაზა ფაჩულია, რომელიც მისი თანაგუნდელი იყო „ორლანდო მეჯიქში", ქართველისთვის ნბა-ში სადებიუტო 2003-04 წლების სეზონში.

ირლანდიელთა იმედია ახალგაზრდა დონი მაკგრათიც, რომელიც ახლახან გადავიდა სერია A-ს „ლა ფორტეზაში".

ლარანაგამ, რომელმაც გასულ საკვალიფიკაციო ციკლში ირლანდიას უბომბარდირა (17 ქულა საშუალოდ), მოთამაშის კარიერას თავი დაანება და ნაკრები ჩაიბარა.

ირლანდიელებმა გასული საკვალიფიკაციო ჩააფლავეს, როცა ოთხგუნდიან ჯგუფში მესამეზე გავიდნენ და ექვსი თამაშიდან მხოლოდ კვიპროსს მოუგეს. აი, 2004-05 წლების სეზონში კინაღამ A დივიზიონში აინაცვლეს კელტებმა. მაშინ მათ ჯგუფში შვეიცარიასა და სლოვაკეთს აჯობეს და დანიასთან პირველი საპლეიოფო მატჩიც იმედიანად, 80:66 მოიგეს, თუმც საპასუხო შეხვედრაში 16 ქულით წააგეს და ელიტაში ვერ აინაცვლეს.

საქართველო ირლანდიას ორჯერ შეხვედრია — 1999 და 2002 წლებში — და ორჯერვე დაუმარცხებია. სხვათა შორის, როცა ჩვენებმა 2002-ში საკვალიფიკაციოს საკვალიფიკაციოში 15 ქულით დააჩოქეს კელტები, იმ ციკლში ქართველები ჩაფლავდნენ, ირლანდია კი შესარჩევ ტურნირში გავიდა. ეს ის ციკლია, ჩვენებს საკვალიფიკაციოში ბულგარეთმა და ბელარუსმა რომ აჯობეს, პარალელურ ჯგუფში კი ირლანდიამ შვეიცარია, ფინეთი და ისლანდია ჩამოიტოვა, პირველი ადგილი დაიკავა და შესარჩევშიც თავი არ შეურცხვენია.

იმ თაობიდან თითო-ოროლა მოთამაშე შერჩათ ირლანდიელებს და ახალგაზრდა მწვრთნელ ლარანაგას ხელმძღვანელობით ახალ გუნდს აშენებენ.

### შვედეთი

ქვესაშუალო შვედეთს საკალათბურთო ევროპაში დაახლოებით იგივე ადგილი უკავია, რაც მის სკანდინავიელ მეზობლებს — ჩვენს კარგ ნაცნობ ფინეთსა და დანიას. შვედები ხანდახან ახერხებდნენ ევროპის ჩემპიონატზე გასვლას, მაგრამ მედლებთან ახლოს არასდროს მდგარან. 2003 წლის ევროპის ჩემპიონატს ამ ქვეყანამ უმასპინძლა და შვედებმაც ბოლოს მაშინ ითამაშეს კონტინენტის პირველობაზე, მაგრამ ჯგუფში სამივე თამაში წააგეს (რუსეთთან 21 ქულით, სერბეთთან 10-ით და ესპანეთთან 47-ით) და 16 გუნდში ბოლო ადგილი დაიკავეს.

ამ წარუმატებლობის შემდეგ შვედეთი ინერციით მოდიოდა და 2007 წელს, უნგრეთთან მარცხის შემდეგ, დაქვეითდა A დივიზიონიდან B-ში. სხვათა შორის, 2003 წლის ზაფხულში, როცა ხორვატ დრაჟენ ბრაიკოვიჩს საქართველოს ნაკრები რამდენიმე თვის ჩაბარებული ჰქონდა, ქართველებმა სპარინგ-მატჩი დიდი სხვაობით მოუგეს ვიკინგებს.

ოფიციალურ ტურნირში საქართველოს ნაკრები შვედებს ორჯერ შეხვედრია — 1999 წლის ევროჩემპიონატის შესარჩევში სტუმრად ბრძოლაში 9 ქულით წავაგეთ, შინ კი 59:82 გავნადგურდით მას შემდეგ, რაც ჩვენებურმა ირაკლი ჯაფარიძემ ჩხუბი აუტეხა მეტოქის ცენტრ იოახიმ ბლომს.

თანამედროვე შვედეთი არ გამოირჩევა ვარსკვლავური შემადგენლობით, ნაკრების მოთამაშეები ირიცხებიან საფრანგეთის, გერმანიის, იტალიისა და ესპანეთის მეორე ლიგების გუნდებში. მათგან გამოსარჩევნი არიან ფრედერიკ იონსენი (207 სმ, 29 წლის), მათს ლევინი (189 სმ, 30 წლის), ოლუომი ნამაკა (201 სმ, 29 წლის), პერ რინგსტრომი (204 სმ, 26 წლის) და კენი გრანტი (190 სმ, 25 წლის). იონსენს, ლევინსა და ნამაგას ნათამაშები აქვთ 2003 წლის ევროპირველობაზე.

და ერთიც: ჩვენთან სათამაშოდ სამზადისში მყოფი ფინეთი ბოლო ხანს ხშირად ესპარინგებოდა შვედებს და მეტწილად უგებდა. ასე რომ, შვედეთი ჩვენთვისაც არ უნდა იყოს დაუმარცხებელი მეტოქე. მთავარია, საქართველოს ნაკრები როგორ განეწყობა და მოემზადება მასთან შეხვედრის წინ.

### სლოვაკეთი

ლეგიონერთა ყოლა კარგია და რაც უფრო სახელიან გუნდებში გყავს წარმომადგენელი, მით უკეთესი, მაგრამ მათი არყოლაც თავისებური უპირატესობაა. სწორედ ესაა სლოვაკეთის მთავარი კოზირი — მისი ნაკრების ყველა წევრი შიდაჩემპიონატში თამაშობს.

ასეთი ყაიდის ნაკრებთან საქართველოს უკვე ჰქონია საქმე. მართალია, ფინეთს 2-3 ლეგიონერი ყოველთვის ჰყავდა, მაგრამ ამ გუნდის უმეტესობა თავისი ქვეყნის ჩემპიონატში თამაშობდა და რომ იტყვიან, ისინი თვალდახუჭული უგებდნენ ერთმანეთს. სლოვაკეთის ნაკრების 3 ლიდერი — რადოსლავ რანჩიკი, ანტონ ჰაველი და რიჩარდ ლეშკო სლოვაკეთის მოწინავე გუნდ „კოშიცეში" თამაშობენ.

საქართველოს ნაკრებს სლოვაკებთან თამაშის ორმატჩიანი გამოცდილება აქვს. 1996 წლის შესარჩევ ტურნირში ბესიკ ლიპარტელიანის გაწვრთნილმა ჩვენმა ეროვნულმა გუნდმა სლოვაკებს თბილისში 91:71 მოუგო, სტუმრად კი 9 ქულით დამარცხდა.

პლეი ოფთან ახლოს სლოვაკები 2005 წლის ციკლში იყვნენ, როცა ჯგუფში, შვეიცარიისა და ირლანდიის დარად, 4 გამარჯვება მოაგროვეს და ბურთების უკეთესი სხვაობის წყალობით კელტებმა იხეირეს.

გასული ციკლი სლოვაკებმა რიხით დაიწყეს, პირველ წრეში დიდი ბრიტანეთიც დაამარცხეს და ბელარუსიც, მაგრამ მეორეში აურიეს და საბოლოოდ ბოლოსწინა ადგილზე აღმოჩნდნენ.

### ლუქსემბურგი

ყველაზე კარგად საქართველო ლუქსემბურგს იცნობს. ამ ქვეყნის ნაკრებს ჩვენები ყველაზე მეტჯერ შეხვედრიან და ყველაზე დიდი სირცხვილით მისგან გვახსოვს. წინა საუკუნის ბოლოს ლუქსემბურგმა საკვალიფიკაციოზე დიდი ანგარიშით დაამარცხა საქართველო და ეს გამარჯვება დღემდე „ჯუჯების" ერთადერთ მიღწევად ითვლება.

**ევრო 97-ის შესარჩევი ეტაპი**

8 ოქტომბერი. 1995 წელი
**სლოვაკეთი 82:78 საქართველო**
**სლოვაკეთი:** ფეიტი (17), იელაჩიჩი (2), უნაკი (26), იაკაბოვიჩი (5), მარკო (6), ტაბი, მიხალიკი (10), მიჩუდა (3), ორგლერი (3), ლოვიკი (10)
**საქართველო:** ბაქრაძე, კობეშავიძე (8), ტურაშვილი (5), სანაძე (2), ბარამიძე (4), დერიუგინი (16), სტეფანია (29), შენგელია (1), ქარაბაკი (6), ჩხეიძე (2)

30 ოქტომბერი. 1996 წელი
**საქართველო 96:71 სლოვაკეთი**
**საქართველო:** ულენტი (2), სტეფანია (22), სანაძე (7), უსტიაშვილი (9), ნაცვლიშვილი (20), შენგელია (2), ქარაბაკი (18), დადიანი (1), ბერძენიშვილი (4), ჩხეიძე (6)
**სლოვაკეთი:** ფეიტი (8), დრობნი (7), სვიტეკი (2), უნაკი (18), ანდრიუშკა (5), მატიცკი (4), მიჩუდა (9), ორგლერი (2), ლოვიკი (16)

**ევრო 2001-ის საკვალიფიკაციო წრე**

**ირლანდია 78:80 საქართველო**
**ირლანდია:** ბრი (1), ფულტონი (5), ფელანი (4), რიჩარდსონი (11), მაგუაირი (12), ოკონელი (12), კალაჰანი (22), ლეისი (11)
**საქართველო:** თორთლაძე (3), ვ. ბოისა (12), გოგობერიშვილი (3), ხოშტარია (7), ვ. ნაცვრიშვილი, ულენტი (7), ბერძენიშვილი (13), ჯაფარიძე (6), გ. ნაცვლიშვილი (22), ბეჟანიშვილი (5), ჩხეიძე (2)

**ევრო 2003-ის საკვალიფიკაციო ეტაპი**

21 მაისი. 2002 წელი
**ირლანდია 80:95 საქართველო**
**ირლანდია:** ფულტონი (1), მედსენი (9), მაკარტი (4), მაგუაირი (16), ქუინი (2), რიჩარდსონი (3), მაკგურკი (5), ოკონელი (11), ლეისი (27), ბურკი (2)
**საქართველო:** ფაჩულია (20), ვ. ბოისა (3), კილაძე (2), კოშტარია (15), ბეჟანიშვილი (6), კოკოლიშვილი, აბრამიძე (4), დავითულიანი (4), გოგობერიშვილი (16), ცქიტიშვილი (25)

**ევრო 99-ის შესარჩევი ეტაპი**

29 ნოემბერი. 1997 წელი
**შვედეთი 89:85 საქართველო**
**შვედეთი:** ჰაკანსონი, ჰ. ლარსონი (9), ფრედრიკსონი (7), ულანდერი (23), ი. ლარსონი (6), ტილმანი, ბლომი (4), გერკე (20), მარკუსი (8), საალსტრომი (12)
**საქართველო:** სანაძე (12), სტეფანია (27), ტურაშვილი (4), ბეჟანიშვილი, ვაშაკიძე (8), ხოშტარია, ბერძენიშვილი (5), ნაცვლიშვილი (21), ჩხეიძე (7)

28 ნოემბერი. 1998 წელი
**საქართველო 59:82 შვედეთი**
**საქართველო:** ვ. ბოისა (8), ულენტი (3), აბრამიძე (6), ბერძენიშვილი (1), ჯაფარიძე (16), ვ. ნაცვლიშვილი (11), მაისურაძე (5), ჩხეიძე (9)
**შვედეთი:** ჰაკანსონი (9), ბერგსტრომი (14), ულანდერი, ი. ლარსონი (3), ბლომი (12), გერკე (26), სტემერი (3), სალსტრომი (15)

**ევრო 97-ის საკვალიფიკაციო ეტაპი**

28 მაისი. 1995 წელი
**საქართველო 81:64 ლუქსემბურგი**
**საქართველო:** დერიუგინი (18), სტეფანია (17)
**ლუქსემბურგი:** ფეიდერი (21), შილცი (16), ჰორსმანსი (15)

**ევრო 2003-ის საკვალიფიკაციო ტურნირი**

17 მაისი. 2000 წელი
**საქართველო 71:92 ლუქსემბურგი**
**საქართველო:** გოგობერიშვილი (20), ქარაბაკი (17)
**ლუქსემბურგი:** ფეიდერი (31), დელგადო (23)

**B დივიზიონი**

18 სექტემბერი. 2004 წელი
**ლუქსემბურგი 61:87 საქართველო**
**ლუქსემბურგი:** ჯონსი (25), მელხიორი (10)
**საქართველო:** ვ. ბოისა (20), ფაჩულია (16)

10 სექტემბერი. 2005 წელი
**საქართველო 87:65 ლუქსემბურგი**
**საქართველო:** ფაჩულია (30), ვ. ბოისა (25)
**ლუქსემბურგი:** პ. რანიაკი (25), მ. რანიაკი (23)

**საქართველო 86:44 ლუქსემბურგი**
**საქართველო:** ცინცაძე (15), ელისი (12)
**ლუქსემბურგი:** მ. რანიაკი (19), შუმახერი (9)

21 აგვისტო. 2007 წელი
**ლუქსემბურგი 60:88 საქართველო**
**ლუქსემბურგი:** მ. რანიაკი (19), შუმახერი (14)
**საქართველო:** ფაჩულია (16), ვ. ნაცვლიშვილი (14)

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს ჩემპიონატი

# შერმადინის მეტი და მეტი

**17 თებერვალი. სპორტის სასახლე**

**დინამო 86:94 ავიამშენი**

*24:30 20:16 30:16 12:32*

**დინამო:** ჟღენტი (21), გულისაბედაშვილი (13), ლაფანაშვილი (17), სანიკიძე (18), ათანელაშვილი (4); ახალკაცი (13), სიგუა, მაისურაძე, ფაიქრიძე

**ავიამშენი:** ნიკოლაძე (14), ტულუში (33), ხოშტარია (6), ნინიაშვილი (15), მათიაშვილი (11 ქულა, 24 მოხსნა); მინაშვილი (13), კვიმსაძე (2), იმნაძე

*მსაჯები:* დავით ბერეკაშვილი, მალხაზ ანდღულაძე

*კომისარი:* როლანდ გელოვანი

**თსუ 91:103 ენერჯი ინვესტი**

*15:27 31:21 20:27 25:28*

**თსუ:** დ. ბერიშვილი (7 ქულა, 10 პასი), ფანჩულიძე (10), ხეცურიანი (19), ბარბაქაძე (22), ყველაშვილი (3); კოხრეიძე (10), ტყეშელაშვილი (9), კეიდია (8), არწივიძე (3), ბ. ნოზაძე

**ენერჯი ინვესტი:** ცეკვავა (7), ლეჟავა (13), ბოისა (6), ბაბიაშვილი (23 ქულა, 12 მოხსნა), სტეფანოვი (21 ქულა, 11 მოხსნა); ჩიტაშვილი (14), გოგობერიშვილი (9), ტუჯანი (7), ჭოჭუა (3), დიდია, ლიპარტელიანი

*მსაჯები:* დავით მაჩალაძე, დავით არეშიძე

*კომისარი:* მურმან ქორიძე

**მაკაბი 73:75 ვითა**

*15:29 18:18 18:19 22:9*

**მაკაბი:** კორკოტაძე, სორდია (4 ქულა 10 პასი), პირველაშვილი (8), ს. შერმადინი (2) გ. შერმადინი (47 ქულა, 13 მოხსნა); ი. ბერიშვილი (10), კოლუაშვილი (2)

**ვითა:** მარხვაშვილი (19), წივწივაძე (6), მ. ბერიშვილი (21), გვიმრაძე (7), ბერძენიშვილი (12); ბეჟანიშვილი (5), ნოზაძე (3), ძიძიგური (2)

*მსაჯები:* მაკა კუპატაძე, გურამ მიქელაძე

*კომისარი:* როლანდ ხომერიკი

**სუპერლიგის** მე-17 ტური „დინამო" — „ავიამშენის" თვალსასეირო თამაშით გაიხსნა. საწყის წუთებში გუნდებმა, თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებიანო, სამქულიანების წვიმა მოაწყვეს. 11:11-ზე 6 სამქულიანი იყო ჩაგდებული. დინამოელები ბევრს მოძრაობდნენ და უკანახაზელების ძალისხმევით ქულებსაც აგროვებდნენ. სამაგიეროდ, ფარზე უჭირდათ — ამ კომპონენტში აშკარად დაიჩაგრნენ და პირველი პერიოდი 24:30 წააგეს. მეორე ათწეული ტულუშის ორი სამქულიანით დაიწყო და მალე ავია 14 ქულითაც გაიქცა, თუმც ისევ დინამოელ უკანახაზელთა ძალისხმევით ანგარიში ორ ქულამდე შემცირდა — 42:44.

მეორე ტაიმი „დინამომ" უკეთ დაიწყო, ხშირად მთელ მოედანზე პრესინგს თამაშობდა, რამაც ნაყოფიც გამოიღო და ბოლო პერიოდის წინ 74:62-ს ანუ მთელ 12 ქულას იგებდა და თითქოს გამარჯვებაც შეეძლო, მაგრამ „მფრინავები" გამოფხიზლდნენ, მეტოქეს მძლავრად მიაწვნენ და თამაშის დამთავრებამდე 2,26 წამით ადრე ანგარიში 80:80 გახადა სათქმელია, რომ ამ საქმეში გამორჩეული წვლილი ტულუშს მიუძღვის, ვინც 33 ქულა მოიმკო. მსაჯის საფინალო სასტვენს ტულუშის სამქულიანი მოჰყვა და...

ზედიზედ ორი წაგების მერე ჩემპიონი რუსთავის გუნდი საქმეს მეტი გულისყურით მიუდგა. „ენეჯიმ" ინიციატივა თავიდანვე იგდო ხელთ და მეტოქეს აგრძნობინა, არ გეგონოს, კიდევ წაგებას ვაპირებდეო. უნივერსიტეტელები ძალიან კი ცდილობდნენ, მაგრამ ბევრს სცოდავდნენ და შეცდომების გამო ანგარიშის გაზრდა უჭირდათ. ამიტომაც იყო, პერიოდი მთელი 14 ქულით რომ დათმეს. ამის მერე ცოტა გამოფხიზლდნენ, ნაბიჯ-ნაბიჯ სხვაობის შემცირებაც იწყეს და ბოლოს არათუ პერიოდის, ტაიმის მოგებაც შეეძლოთ, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში მიზანმა უმტყუნათ — 46:48.

შესვენების მერე თამაში ქულაქულაში წავიდა — თსუ ძალიან კი ცდილობდა დაწევას, მაგრამ რუსთაველები 4-5 ქულიან უპირატესობას სულ ინარჩუნებდნენ და გადამწყვეტი პერიოდის წინ 11 ქულასაც იგებდნენ თან თბილისელებმა ხუთი გაფრთხილების გამო ორი კაცი, არწივიძე და კეიდია მოისაკლისეს.

თამაშში ინტრიგა მაინც გაჩნდა, თსუ-მ მაგრად ივაჟკაცა და 2,44 წუთით ადრე ტაბლოზე 84:84 აანთო. ოღონდ ეს ბოლო გაბრძოლება გამოდგა. ჩემპიონებმა ჯერ ორი ქულა ჩააგდეს, მერე კი სტეფანოვმა, ვინც მთელი პირველი ტაიმი პასიური იყო და მხოლოდ 3 ქულას გამორჩა, ზუსტი სამქულიანით თბილისელებს იმედი გადაუწურა — 89:84 და თსუ უკვე ფსიქოლოგიურადაც გატყდა.

გიორგი შერმადინმა წინა ტურში „ავიას" 41 ქულა დაატეხა თავს და წლეულს საუკეთესო შედეგიც აჩვენა, თუმც უკვე გუშინ საკუთარი რეკორდი გააუმჯობესა და „ვითას" 47 ქულა უძღვნა. თვითონ თამაშში ინტრიგა ბოლო წუთებშიღა გაჩნდა, თორემ მანამდე „ვითას" დამაჯერებლად მიჰყავდა ანგარიში და პერიოდი 29:15 მოიგო. ამ 15 ქულიდან 13 გიორგი შერმადინის იყო, ვისაც გუნდელები სათანადოდ ვერ ტვირთავდნენ და ამ მთასავით კაცს მეტწილად უკანდაწევა და იქიდან გარეკა უწევდა. მეორე და მესამე პერიოდებში თამაში გათანაბრდა და „ვითა" საწყის წუთებში მოპოვებული ქულების წყალობით იგებდა. აი, ბოლო წუთები კი გვარიანად დაძაბული გამოვიდა. ჯერ 71:72 გახდა და მერე შერმადინის წყალობით სულაც 73:71 წინ „მაკაბი" გავიდა. მაგრამ ნიკა ნოზაძემ, ვისაც მანამდე კინკილა ქულაც კი ვერ ჩაეგდო, სამქულიანი ჩააკლათა და თამაშის ბედიც გადაწყვიტა, რადგან მერე „მაკაბიმ" სიჩქარეში ვერაფერი გააწყო. წაგების მიუხედავად, ტურის საუკეთესო მოთამაშედ გიორგი შერმადინი დაასახელეს.

**ლექსო მაისურაძე**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ენერჯი | 16 | 14 | 3 | 31 |
| თსუ | 16 | 10 | 7 | 27 |
| ავიამშენი | 16 | 9 | 8 | 26 |
| დინამო | 16 | 7 | 10 | 24 |
| ვითა | 16 | 7 | 10 | 24 |
| მაკაბი | 16 | 4 | 13 | 21 |



გიორგი შერმადინმა 47 ქულით სეზონის რეკორდი დაამყარა

# კადეტთა უმნიშვნელო ტრაგედია

**თურქეთის** ქალაქ საქარიაში კადეტთა საერთაშორისო ამხანაგური ტურნირი დაიწყო, სადაც ქართველებმა სადებიუტო მატჩში მწარე მარცხი იწვნიეს. არც არავინ ელოდა, რომ გელა წყულაძის გუნდი იტალიას მოუგებდა, მაგრამ 68-ქულიანი მარცხი მაინც ნამეტანი იყო.

საქართველოს კადეტთა ნაკრები ჩამოყალიბების პროცესშია და თურქეთში რომ მიდიოდა, კალათბურთის ფედერაციის მესვეურებმა წულაძეს შედეგი არ მოსთხოვეს. გენერალურმა მდივანმა მერაბ რატიშვილმა თქვა, რომ ნაკრები ევროპის ჩემპიონატისთვის ემზადება და თურქეთში თუ ვერ მოიგებს, ტრაგედია არ იქნებაო. ვერც მოიგეს, მაგრამ ტრაგიკული ანგარიშით კი წააგეს.

ჩვენს ჯგუფში რუსეთმა სლოვენიას 83:80 მოუგო, ხოლო თურქეთმა უკრაინა 71:60 დაამარცხა. საქართველოს ნაკრებს წუხელ უკრაინასთან უნდა ეთამაშა.

**ირაკლი პერტაია**



სუპერმენი დუაიტ ჰოვარდი

# ვარსკვლავური ბომბები

**ვარსკვლავები** კიაფობენ რამდენიმე წლის წინ ქარიშხალ კატრინასგან შელახულ ნიუ ორლეანში — ეს უქმეები ოლ სტარს ეკუთვნის და საკალათბურთო ამერიკის მზერაც იქითაა მიპყრობილი. აღმოსავლეთის და დასავლეთის ვარსკვლავთა შოუ-მატჩი წუხელ გვიან გაიმართა და მის შესახებ ხვალ ვთქვათ, ყველა ვარსკვლავის მატჩს კი წინ უსწრებდა პატარების ოლ სტარი, რომელიც პარასკევს ჩატარდა და აგრეთვე სხვადასხვა კონკურსები, რომლებმაც შაბათს შეაქციეს ნიუ ორლეანს მიმწყდარი საკალათბურთო ელიტა.

მცირე ოლსტარში ანუ ახალბედებისა და მეორეწლიანების 40-წუთიან ჯახში კვლავ ამ უკანასკნელებმა იძალეს, 136:109 მოიგეს და ტრადიცია დაიცვეს. ბიჭები, რომლებიც ნბა-ში მეორე სეზონს ატარებენ, ერთი წლით გაზრდილები გახლავან და პირველწლიანებს არასდროს შანსს არ უტოვებენ.

ასე იყო ახლაც, მათ მოიგეს თითქმის სამი ათეული ქულის სხვაობით. თამაშის უძვირფასეს მოთამაშედ კი „კლივლენდის" 188-სანტიმეტრიანი უკანახაზელი დანიელ გიბსონი დასახელდა, რომელმაც პატარებს 11 სამიანი ჩაუგდო და ასე სუფთად დააგროვა 33 ქულა. გიბსონმა მოხსნა მცირე ოლ სტარების რეკორდი სამქულიანებში, რომელიც 2004 წელს ფილადელფიელ კაილი კორვერმა დაამყარა (7 სამქულიანი), ასევე ამარე სტუდემაიერის რეკორდი — 30 ქულა.

გიბსონს რომ შორიდან ხელი და თვალი ბასრად უჭრის, ეს შაბათსაც გამოჩნდა, როდესაც მან სამქულიანების კონკურსში 17 სამიანი ჩააგდო და ფინალში აჯობა დირკ ნოვიცკის (14), მაგრამ სამ კაცში მაინც მეორე იყო და გამარჯვებაც სხვას შეხვდა. გამარჯვება ისევ კონკურსის შარშან მომგებ ჯეისონ კაპონოს ხვდა წილად. „ტორონტოს" თეთრმა მსროლელმა ფინალში გიბსონსა და ნოვიცკისთან შეჯიბრში 25 სამქულიანი ჩააგდო და 1986 წელს დამყარებული მარკ პრაისის რეკორდი გაიმეორა.

თვალსასეირო გამოდგა ჩატენვებში გაჯიბრებაც, სადაც ყველას აჯობა „ორლანდოს" 211-სანტიმეტრიანმა და 120-კილოგრამიანმა ცენტრმა დუაიტ ჰოვარდმა. ჩატენვებში, როგორც წესი, უფრო კნაჭა და მოქნილი ჯეელები მონაწილეობენ და იგებენ, მაგრამ აი, ამხელა გოლიათმა ახლა ისეთი რამეები აკეთა, ნბა-ს ლეგენდებისგან შემდგარ ჟიურის პირები დააჩენინა. ერთ-ერთ ცდაზე ჰოვარდმა წითელი წამოსასხამი მოისხა, შორიდან მართლა სუპერმენივით გამოფრინდა და ასე შეასრულა ულამაზესი ჩატენვა. ფინალში მან შარშანდელ გამარჯვებულს, მინესოტელ ჯერალდ გრინს აჯობა.

# ბიბი ატლანტაში

**სერიოზული** გაცვლა გაჩარხა ზაზა ფაჩულიას „ატლანტა ჰოქსმა" — ოთხი ისე რა მოთამაშის მაგივრად „საკრამენტო კინგზიდან" მძლავრი გამთამაშებელი მაიკ ბიბი გადაიბირა და ის რგოლიც გააძლიერა, სადაც ყველაზე დიდი გარღვევა ჰქონდა.

ბიბის სანაცვლოდ „ატლანტა" შეელია ძირითად გამთამაშებელ ენტონი ჯონსონს (მის ადგილს ხუთეულში სწორედ ბიბი იკავებს) და კიდევ სამ სათადარიგოს — ტაირონ ლუს, ლორენცენ რაიტის და შელდენ უილიამსის. „ქორების" მწვრთნელი მაიკ ვუდსონი ბოლო ორს თითქმის არც ათამაშებდა, მით უფრო მას შემდეგ, რაც გუნდში ახალბედა ალ ჰორფორდი მივიდა და მანამდე ძირითადმა ცენტრმა ზაზა ფაჩულიამ სათადარიგოებში გადაინაცვლა. უილიამსსა და რაიტს საერთოდ აღარ დარჩათ სათამაშო დრო და სივრცე, ასე რომ, „ატლანტამ" ფაქტობრივად ორი საშუალო გამთამაშებელი ერთ კარში გაცვალა და თანაც ბალასტიც მოიშორა.

**კოტე ყორშია**

## ცურვა

# შიშველის რეკორდი და რეკორდი გულაღმა


იმონ სალივანი

**მსოფლიოს** ახალი უსწრაფესი მოცურავე ჰყავს. დაემხო რუსი ალექსანდრ პოპოვის 8 წლის წინ დამყარებული მსოფლიო რეკორდი ყველაზე მოკლე და ყველაზე სწრაფ ოლიმპიურ სახეობაში — 50 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში.

22 წლის ავსტრალიელმა იმონ სალივანმა სიდნეის ოლიმპიურ აუზში 50 თავისუფალი მეტრი 21,56 წამში გაცურა და 0,08 წამით გააუმჯობესა 2000 წელს მოსკოვში დამყარებული პოპოვის რეკორდი.

სალივანი ყოველთვის ნიჭიერ მოცურავედ ითვლებოდა, მაგრამ რაკი აქამდე არაფერი მოეგო, „მარადი ვუნდერკინდის" სახელი შემორჩა. ახლა კი ის უკვე 22 წლისაა, ანუ ცურვისთვის იმ ასაკშია, რომ წესით, პიკი გადავლილი უნდა ჰქონდეს, მაგრამ დახეთ, რეკორდს არ გამოჰკრა ხელ-ფეხტი და ასეთი სწრაფი გაცურვის შემდეგ ის მთავარ პრეტენდენტად წავა პეკინის ოლიმპიადაზე.

მაგრამ სიხარულთან ერთად ერთგვარი შფოთვაც ეუფლება ავსტრალიელ მერეკორდეს, ამბობს, კი მიხარია, მაგრამ მერჩივნა, პეკინში უფრო მოკრძალებული შედეგით ჩავსულიყავი და იქ დავხარჯულიყავი ბოლომდე, რაკი მეცოდინებოდა, ვინ რისი შემძლეა, ასე კი მე გამოვდივარ გაშიშვლებული და ყველა ჩემს ძლევაზე იქნება ორიენტირებულიო.

ნაკლებად წუხს მისი მწვრთნელი გრანტ სტოლვინდერი. მისი აზრით, იმონ სალივანი გვიან გაბრწყინებული ვარსკვლავია, „ვისი დროც ახლა დადგა და ამ წელიწადს ის სტაბილურად აჩვენებს რეკორდთან მოახლოვებულ შედეგებს.

სიდნეიდან ათეულ ათასობით კილომეტრის დაშორებით კი კიდევ ერთი მსოფლიო რეკორდი გაუმჯობესდა. ამერიკაში, მისურის გრან პრიზე გაიბრწყინა ზიმბაბვეს მოქალაქემ და აშშ-ს მკვიდრმა კირსტი ქოვენთრიმ. ეს ფითქინა გოგონა 200 მეტრზე გულაღმა ცურვაში ათენის ოლიმპიადის ტრიუმფატორია და მსოფლიოს ჩემპიონიც გახლავთ, ახლა კი რიგით ტურნირზე ამ სახეობაში მსოფლიო რეკორდიც დაამყარა — 200 მეტრზე გულაღმა ცურვაში 2 წუთი და 06,39 წამი დააფიქსირა და 0,23 წამი მოაჭრა ძველ რეკორდს, რომელიც უნგრელ კრიშტინა ეგერშეგის არც მეტი, არც ნაკლები, 17 წლის წინ ჰქონდა დამყარებული.

**კოტე ყორშია**

## ჭადრაკი

# ახალგაზრდებმა საქართველო დაინაწილეს


მერი არაბიძე

**თბილისის** ჭადრაკის სასახლეში საქართველოს 16-წლამდელთა პირველობა დასრულდა. სულ ტურნირში 70-მდე მოჭადრაკე მონაწილეობდა და თამაშები შვეიცარიული სისტემით, 9 ტურად ჩატარდა.

გოგონებში ყველაზე ძლიერი მერი არაბიძე აღმოჩნდა, მან 7,5 ქულა დააგროვა და მეორეზე გასულ ნათია ჯალაბაძეს ერთი ქულით გაუსწრო. ბრინჯაოს მედალი ნინო ანაკიძემ დაისაკუთრა. ვერცხლისმედალოსანს იგი ნახევარი ქულით ჩამორჩა.

ბიჭებში ყველას 7,5 ქულიანმა ლევან ბრეგაძემ აჯობა. მეორე-მესამე ადგილები კი 7-7 ქულით ირაკლი ჯანიაშვილმა და ნოდარ დავარაშვილმა გაინაწილეს.

ჩემპიონები ოქტომბერში ვიეტნამში გაემგზავრებიან და მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატზე იასპარეზებენ. ვერცხლისმედალოსნებს კი ევროპის პირველობა ელით, რომელიც ავსტრიაში გაიმართება.

**ლაშა გეგეჭკორი**

## მორელია-ლინარესის სუპერტურნირი

მორელია-ლინარესი. მექსიკა-ესპანეთი. 15 თებერვალი — 7 მარტი

| | | |
|---|---|---|
| **I ტური** | | |
| ალექსეი შიროვი (ესპანეთი) | 0:1 | ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) |
| მაგნუს კარლსენი (ნორვეგია) | 0,5:0,5 | ვასილ ივანჩუკი (უკრაინა) |
| პეტერ ლეკო (უნგრეთი) | 1:0 | თეიმურ რაჯაბოვი (აზერბაიჯანი) |
| ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) | 1:0 | ლევონ არონიანი (სომხეთი) |
| **II ტური** | | |
| ვასილ ივანჩუკი (უკრაინა) | 1:0 | პეტერ ლეკო (უნგრეთი) |
| ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) | 0:1 | ლევონ არონიანი (სომხეთი) |
| თეიმურ რაჯაბოვი (აზერბაიჯანი) | 0,5:0,5 | ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) |
| ალექსეი შიროვი (ესპანეთი) | 0,5:0,5 | მაგნუს კარლსენი (ნორვეგია) |

# ანანდმა გააშავა

**წლევანდელი** სუპერტურნირი რიგით 25-ეა და სიძლიერითაც უმაღლესი, 21-ე კატეგორიისაა. გათამაშება ყველაზე ბევრჯერ მსოფლიოს მეცამეტე ჩემპიონმა გარი კასპაროვმა მოიგო. მან ლინარესში 9-ჯერ იმარჯვა და ორი წლის წინ თამაშს თავი დაანება. ამით სუპერტურნირს სერიოზული ძალა მოაკლო და შედეგად ბევრმა სპონსორმა თანამშრომლობაზე უარი თქვა. ლინარესის სუპერტურნირი ჩაშლის პირას აღმოჩნდა, თუმც ქალაქის მერი და ცნობილი მეცენატი დონ ლუის რენტერო მიდგა-მოდგა, ხალხი შეაწუხა და შედეგად პარტნიორი ატლანტის გაღმა, მექსიკურ მორელიაში იპოვა. ორივე მხარემ გადაწყვიტა, რომ ტურნირი ორად გაეყოთ, პირველ ნაწილს მორელია უმასპინძლებდა, მეორეს კი — ლინარესი. ამან რუსი მოჭადრაკეები გაანაწყენა, ამხელა გზას რა ივლის, თანაც აკლიმატიზაცია გაგვიჭირდებაო და გამოსვლაზე უარი თქვეს. მიუხდავად ამისა, სუპერტურნირი ბოლოლა მოჭადრაკეების სიმცირეს სულაც არ განიცდის და კვლავაც ყველაზე ძლიერი, 21-ე კატეგორიისაა. ამ სიძლიერისა კი შეჯიბრი სულ ორჯერ, 1998 და 2000 წლებში ჩატარდა.

ტურნირზე მცირე ინციდენტებს ელიან, რაც აზერბაიჯანელ დიდოსტატ თეიმურ რაჯაბოვის განცხადების ბრალია, სომხები ჩვენი მტრები არიან და მათ ვერ ვიტანო.

ამ ამბავს დიდად არ უმოქმედია ლევონ არონიანზე და განაცხადა: „მე თამაში მაინტერესებს და ინტერნეტში რასაც ლაპარაკობენ, სულ არ მაღელვებს". არონიანი რაჯაბოვს ორი კვირის წინ ვეიკ ან ზეეშიც დაუპირისპირდა და ზედიზედ მეორე მარცხი აგემა. ორგანიზატორები იმედოვნებენ, რომ ყველაფერი მშვიდობიანად ჩაივლის და მოჭადრაკეები ერთმანეთს ხელს მეგობრულად ჩამოართმევენ.

ტურნირი შედეგიანად დაიწყო. პირველი ტურის ოთხი შეხვედრიდან მხოლოდ ერთი დასრულდა ყაიმით. და მაყურებელმაც უშელავათო ბრძოლები იხილა.

სუპერტურნირის შარშანდელმა გამარჯვებულმა ვიშვანათან ანანდმა შავი ფიგურებით ალექსეი შიროვი დაამარცხა, თუმც მეორეში თეთრებით ლევონ არონიანთან წააგო და ცხრილის შუაში გამოეკიდა.

პირველ ადგილზე ვესელინ ტოპალოვი და ვასილ ივანჩუკი მოექცნენ 1,5-1,5 ქულებით. უკრაინელს ტურნირი სამჯერ აქვს მოგებული, ბულგარელს კი ერთხელ, 2005-ში.

**ლაშა გეგეჭკორი**

| | | |
|---|---|---|
| 1. | ვასილ ივანჩუკი | 1,5 |
| 2. | ვესელინ ტოპალოვი | 1,5 |
| 3. | მაგნუს კარლსენი | 1 |
| 4. | ლევონ არონიანი | 1 |
| 5. | ვიშვანათან ანანდი | 1 |
| 6. | პეტერ ლეკო | 1 |
| 7. | თეიმურ რაჯაბოვი | 0,5 |
| 8. | ალექსეი შიროვი | 0,5 |

## მძლეოსნობა


ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბირთვის ლიცენზია
## მარიამ ქევხიშვილი მეოცე ქართველია

**ქართველმა** ბირთვის მკვრელმა მარიამ ქევხიშვილმა პეკინის ოლიმპიადის ლიცენზია მოიპოვა. 15-16 თებერვალს ამერიკის შეერთებულ შტატებში საერთაშორისო ტურნირი გაიმართა, სადაც ჩვენებურმა კარგი შედეგი აჩვენა, მე-2 ადგილი დაიკავა და მხოლოდ ამერიკელ სპორტსმენს ჩამორჩა 20 სანტიმეტრით — ქევხიშვილმა ბირთვი 17,44 მეტრზე ჰკრა, სალიცენზიოდ კი 17,20 მეტრიც საკმარისი იყო. მარიამი ამის მერე აშშ-ის ღია პირველობაზე გამოცდის ძალებს, რომელიც 29 თებერვლიდან 2 მარტის ჩათვლით ჩატარდება. მძლეოსნებისთვის ეს პირველი ქართული ლიცენზია გახლდათ, სულ კი ჩინეთის საგზური 20 ჩვენებურს აქვს მოპოვებული.

ამასთან დაკავშირებით, საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა *მაია აზარაშვილმა* გვითხრა: „ძალიან გახარებულნი ვართ. სიმართლე გითხრათ, ველოდით მისგან ლიცენზიას, რადგან ამერიკაში კარგ პირობებში ემზადება, ხშირად ეძლევა სხვადასხვა ტურნირებში გამოსვლის საშუალება, რაც დიდად მნიშვნელოვანია. საერთოდ კი მძლეოსანი ზამთართან შედარებით, სიცხეში უფრო უმატებს შედეგს. ვფიქრობ, მარიამი 19 მეტრამდე გააუმჯობესებს მაჩვენებელს.

სხვათაგან კი დავით ილარიანის იმედი გვაქვს, რომ საპეკინო ლიცენზიას მოიპოვებს".

**ლექსო მაისურაძე**

## სამბო

# ევროპა თბილისში

**15 თებერვალს** მოსკოვში ევროპის სამბოს ფედერაციის კონგრესი ჩატარდა, სადაც ევროპის ჩემპიონატის მასპინძელი ქვეყნის ვინაობა დასახელდა.

ევროპირველობა უკრაინაში უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ მათ უარი განაცხადეს და მასპინძლობის უფლების მოპოვებისთვის სამი ქვეყანა იბრძოდა — ბელარუსი, რუსეთი და საქართველო.

საქართველოს დელეგაციამ კონგრესში სპორტის დეპარტამენტიდან ოფიციალური წერილი წაიღო, რომელშიც სახელმწიფოს მხრიდან ტურნირის მხარდაჭერა იყო დადასტურებული. ჩვენი შანსები ერთიორად გაზარდა იმანაც, რომ წლეულს ბელარუსიაში ახალგაზრდების ევროპის ჩემპიონატი იმართება, ხოლო რუსეთში დიდების მსოფლიოს ჩემპიონატი. ჰოდა კონგრესზე ევროპის სამბოს ფედერაციის პრეზიდენტმა სერგეი ელისეევმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ 2008 წლის ევროპის ჩემპიონატს თბილისი უმასპინძლებს. შეჯიბრება აპრილში გაიმართება, თუმც კონკრეტული ვადა ჯერ დადგენილი არ არის.

**ზურაბ მიგრიაული**

# ქართველებს ოქრო რუსეთში დარჩათ

**საქართველოს** ნაკრებმა რუსეთში, მათ პრეზიდენტის, ვლადიმერ პუტინის სახელობის ტურნირზე 7 მედალი მოიპოვა და გუნდური მეორე ადგილი დაიკავა. შვიდმედალოსანი ქართველები ოქროს გარეშე დარჩნენ და მხოლოდ მასპინძლებს ჩამორჩნენ.

ჩვენები ფინალურ ორთაბრძოლებში რუსებთან დამარცხდნენ — 52 კგ წონით კატეგორიაში მსოფლიოს ჩემპიონმა უშანგი კუხანაშვილმა ვალერი სორონკოვთან წააგო, 57 კგ-ში ავთანდილ ცინცაძეს ტიმურ გალიამოვმა აჯობა, 90 კგ-ში მინდია ბოდაველს ალისიმ ჩერნოსკულოვმა მოუგო, მძიმე წონოსან ზვიად ჩინჩალაძეს კი ვიტალი მინაკოვმა წაართვა ოქროს მედალი.

ბრინჯაოს მედლები კახა მამულაშვილს (74კგ), ნიკო კუციასა (82კგ) და მირიან პავლიაშვილს (100კგ) ერგოთ.

**ზურაბ მიგრიაული**

# კენენისა ბეკელე ორი მილის რეკორდსმენია
# ჰაილეს აჩრდილი




**თაობათა ბრძოლა** გრძელდება, ეთიოპიელმა სტაიერმა კენენისა ბეკელემ თითქმის ყველაფერი წაართვა დიად თანამემამულე ჰაილე გებრსელასიეს და მის საყვარელ 10-კილომეტრიან დისტანციაზე ისე შეავიწროვა, რომ ამ უკანასკნელმა სხვა გზები მონახა, მარათონულ გზებს მიადგა და იქ გამეფდა.

ბეკელე კი თან სდევს: ამ შაბათს მან 2 მილზე (დაახლოებით 3200 მეტრი) ძველი რეკორდი ჩამოართვა ჰაილეს, რომელიც უფროს სუპერეთიოპს 2003 წლიდან ეკუთვნოდა. ბირმინგემში გამართულ ჭერქვეშა ტურნირზე ბეკელემ ორი მილი 8 წუთსა და 4,34 წამში დაფარა და 0,35 წამი მოაჭრა გებრსელასიეს შედეგს.

ეს უკვე მესამე რეკორდს ართმევს კენენისა ჰაილეს. ჯერ 2004 წელს 5 კილომეტრზე გაუხუნა საუკეთესო შედეგი, შარშან კი — 2 კილომეტრზეც გააკეთა იგივე. მოკლედ, შვილი სჯობია მამასაო, ოღონდ ამ შემთხვევაში, „მამა" ჰაილე, მგონი, მთლად კმაყოფილი არ უნდა იყოს „შვილის" გმირობებით.

სხვაფრივ, ეს გარბენი ისევ და ისევ კენენისა ბეკელეს გამო ძალზე სწრაფი გამოვიდა და კენიელმა, პროფილით სტიპლჩეიზერმა (3 კმ წინაღობებით) პოლ კოეჩმა ქვეყნის რეკორდი დაამყარა (8.06,48). ის მთელი დისტანცია უძალიანდებოდა ბეკელეს, მაგრამ ბოლო 200 მეტრზე ველარ გაუძლო მეტოქის რეაქტიულ ტემპს და საპატიო მეორე ადგილს დასჯერდა.

საინტერესო უნდა ყოფილიყო ქალთა 2-მილიანი გარბენიც, მაგრამ აქ გამოსვლა ვერ მოახერხა მესერეტ დეფარმა — ყველაფრის ჩემპიონი ეთიოპი მუცლის გვრემამ არ გაუშვა სარბენ ბილიკზე, სადაც მისმა ნაკლებსახელოვანმა თანამემამულე გელეტე ბურკამ 8.31,34 შედეგით იპირველა.

# ისინბაევამ ჭერი ჩამოაქცია



**იმ ეპოქაში**, როდესაც მძლეოსნობის თითქმის ყველა სექტორი ბოლომდეა ათვისებული და რეკორდები წლობით არ მყარდება, დარბაზში გამართულ ტურნირებზე კიდევ გადააწყდებით მანამდე არნახულ შედეგებს. წინა წლებში ვარსკვლავები მაინცდამაინც თავს არ იკლავდნენ, მაგრამ გარეთ რომ ამოწურეს რეკორდები, მერე გადახურულში შევიდნენ.

რუსი ჭოკით მხტომელი ელენა ისინბაევა მორჭმით პყრობს ნამდვილ მსოფლიო რეკორდს (5,01 მეტრი), იქნებ ამ სუპერშედეგის გაუმჯობესებაც სურდეს, მაგრამ ოლიმპიადისთვის თუ ინახავს თავს. ახლა კი მან დარბაზში „შეიარა" და ჭერქვეშა მსოფლიო რეკორდი გააუმჯობესა. შაბათს უკრაინულ დონეცკში ჭოკით მხტომელთა „ვიწრო" ტურნირი გაიმართა, სადაც ისინბაევამ 4,95-მეტრიანი თამასა დაძლია და ორი სანტიმეტრით გააუმჯობესა შარშან, ამავე დარბაზში დამყარებული თავისივე რეკორდი.

„ბედნიერი ვარ, რომ ოლიმპიური წელი რეკორდით დავიწყე — კეკლუცობდა ისინბაევა — მართალია, ეს ჭერქვეშეთის რეკორდია, მაგრამ ესეც საქმეა".

ისინბაევას შემდეგ მეორე ადგილიც რუსმა, იულია გოლუპჩიკოვამ დაიკავა (4,72), მესამე კი პოლონელი მონიკა პირეკი (4,67) გახლდათ.

კაცებშიც რუსმა იმარჯვა, 24 წლის მაქსიმ მაზურიკმა 5,81 შედეგით იპირველა.

# ნელსონმა ჰკრა




**მსოფლიო** მძლეოსნობაში შაბათს კიდევ ერთმა შედეგმა დაიგრგვინა. კენენისა ბეკელესა და ელენა ისინბაევასგან განსხვავებით მსოფლიო რეკორდი არ დაუმყარებია, მაგრამ ამერიკელმა ბირთვის მკვრელმა ადამ ნელსონმა მაინც გადარია სპორტის ამ სახეობაში ჩახედულნი.

არკანზასის შტატის ქალაქ ფაიეტვილში გამართულ ტურნირზე თითქმის 5 ათასი მაყურებლის თვალწინ ნელსონმა რკინის ბირთვი 22 მეტრსა და 40 სანტიმეტრზე ჰკრა. ეს შედეგი თავისთავად ხომაა სეზონის რეკორდი და თანაც, მსოფლიოს ყველა დროის მესამე შედეგი გახლავთ. ასე შორს ბირთვი 1989 წლის შემდეგ არავის უკვრია. რეკორდსმენი რენდი ბარნსია (22,66 მეტრი 1989 წელს), მეორე შედეგს კი ულფ ტიმერმანი ფლობს (22,55 მეტრი, ასევე 1989 წელს). აქ, ცხადია, დარბაზთა რეკორდებზეა საუბარი.

ნელსონი მძლავრად იწყებს სეზონს. აქამდე მისი სადარბაზო რეკორდი 21,66 მეტრი იყო, წლეულს კი ჯერ 22,07 მეტრზე დასცა ბირთვი, ახლა კი აგერ, 22,40-ს უწია.

**ბოტე ყორშია**



## რეგულარული ჩემპიონატი

NHL

### 15 თებერვალი

**ნიუ ჯერსი 3:4 ატლანტა**
*1:0 1:2 1:1 0:0 (0:1 ბულიტებით)*
1:0 პარიზე (18), 2:0 ჯიონტა (24), 2:1 კოვალჩუკი (24), 2:2 უაიტი (32), 3:2 მადენი (49), 3:3 ჰოსა (60)

**დეტროიტი 1:5 კოლუმბუსი**
*0:3 0:1 1:1*
0:1 ნეში (8), 0:2 მოდინი (14), 0:3 ჟერდევი (15), 0:4 მოდინი (32), 1:4 დაციუკი (42), 1:5 ჰეინსი (45)

**ფლორიდა 4:2 ვაშინგტონი**
*1:0 0:1 3:1*
1:0 ოპეში (6), 1:1 სიომინი (22), 1:2 ფლეიშმანი (41), 2:2 ჰორტონი (44), 3:2 პრეპსი (49), 4:2 ბუტი (60)

**ანაჰაიმი 2:4 დალასი**
*1:1 0:2 1:1*
1:0 კუნიცი (4), 1:1 რიბეირო (17), 1:2 რობიდა (25), 1:3 რობიდა (39). 2:3 კუნიცი (52), 2:4 ოტი (60)

**ლოს ანჯელესი 6:3 კალგარი**
*3:2 3:0 0:1*
1:0 დალმენი (4), 1:1 ლენგკოუ (5), 2:1 ბოილი (7), 3:1 პერსელი (9), 3:2 ბოიდი (13), 4:2 ოსალივანი (25), 5:2 არმსტრონგი (27), 6:2 კოპიტარი (31), 6:3 ნოლანი (46)

### 16 თებერვალი

**რეინჯერსი 5:1 ბუფალო**
*4:0 1:0 0:1*
1:0 ეივრი (1), 2:0 კალაჰენი (5), 3:0 დუბინსკი (10), 4:0 შენაჰენი (13), 5:0 ეივრი (28), 5:1 ვანეკი (44)

**აილენდერსი 4:1 ატლანტა**
*1:0 2:0 1:1*
1:0 შატანი (15), 2:0 ფედოტენკო (22), 3:0 ბერჟერონი (33), 4:0 ბერგენჰაიმი (48), 4:1 უაიტი (59)

**ტორონტო 4:3 ბოსტონი**
*1:1 0:1 2:1 1:0 (ოვერტაიმში)*
0:1 მიურეი (6), 1:1 მური (11), 1:2 უაიდმენი (39), 2:2 ტაკერი (55), 3:2 ანტროპოვი (57), 3:3 ჩარა (60), 4:3 ტაკერი (64)

**ოტავა 2:3 ნიუ ჯერსი**
*0:1 1:2 1:0*
0:1 ეშემი (10), 0:2 ეშემი (24), 0:3 პარიზე (28), 1:3 სპეცა (37), 2:3 კელი (53)

**კაროლინა 5:4 ფლორიდა**
*1:1 1:2 3:1*
1:0 ბრუკბენკი (4), 1:1 მაკლინი (7), 1:2 ოლეში (29), 2:2 სამსონოვი (30), 2:3 ჰორტონი (34), 2:4 ჰორტონი (45), 3:4 სტაალი (46), 4:4 ლეტოვსკი (48), 5:4 უიტნი (56)

**ტამპა 2:3 ვაშინგტონი**
*0:1 0:0 2:2*
0:1 ფლეიშმანი (17), 0:2 სტეკელი (54), 1:2 პროსპალი (55), 2:2 პლავაჩი (57), 2:3 სიომინი (57)

**ნეშვილი 2:1 სენტ ლუისი**
*0:1 0:0 1:0 1:0 (ოვერტაიმში)*
0:1 შჩასტნი (16), 1:1 ნიკოლი (52), 2:1 ვებერი (61)

**ფინიქსი 4:3 ლოს ანჯელესი**
*2:1 1:0 1:2*
1:0 ჯოვანოვსკი (6), 1:1 ივანანსი (9), 2:1 პერო (16), 3:1 ვინიკი (27), 3:2 ბრაუნი (41), 3:3 ფროლოვი (49), 4:3 ვრბატა (53)

**ვანკუვერი 4:2 ედმონტონი**
*1:1 1:1 2:0*
1:0 ნესლუნდი (4), 1:1 რიზონერი (19), 2:1 სალო (21), 2:2 ბროძიაკი (38), 3:2 დ. სედინი (48), 4:2 ბაროუზი (60)

**მონრეალი 1:0 ფილადელფია**
*0:0 1:0 0:0*
1:0 კოსტიცინი (24)



### კაცები
მარსელი. საფრანგეთი. ჰარდი. საპრიზო 534 000 ევრო

**მეოთხედფინალი**
მარკოს ბაღდატისი (6, კვიპროსი) — მიხაელ იუჟნი (3, რუსეთი) 7:6 6:3; ენდი მიურეი (4, ბრიტანეთი) — ნიკოლა მაჰუ (საფრანგეთი) 7:5 7:6; პოლ-ანრი მატიო (8, საფრანგეთი) — ჟილ სიმონი (საფრანგეთი) 6:3 6:4; მარიო ანჩიჩი (ხორვატია) — რობინ სოდერლინგი (შვედეთი) 6:3 6:7 6:2

**ნახევარფინალი**
მიურეი — მატიუ 6:2 6:2; ანჩიჩი — ბაღდატისი 6:4 6:2

### კაცები
დელრეი ბიჩი. აშშ. ჰარდი. საპრიზო 436 000 დოლარი

**მეოთხედფინალი**
ჯეიმს ბლეიკი (1, აშშ) — იგორ კუნიცინი (რუსეთი) 6:2 6:4; სემ ქუერეი (3, აშშ) — ვინსენ სპადეა (6, აშშ) 6:2 6:4; რობი ჯინეპრი (აშშ) — მარდი ფიში (8, აშშ) — 6:1 4:6 6:4; კეი ნიშიკორი (იაპონია) — ბობი რეინოლდსი (აშშ) 6:2 6:4

**ნახევარფინალი**
ბლეიკი — ჯინეპრი 6:4 6:4; ნიშიკორი — ქუერეი 4:6 6:2 7:6

### კაცები
კოსტა დე საიუპე. ბრაზილია. თიხნარი. საპრიზო 485 000 დოლარი

**მეოთხედფინალი**
კარლოს მოია (1, ესპანეთი) — ოსკარ ერნანდესი (ესპანეთი) 6:3 3:6 7:5; ნიკოლას ალმაგრო (2, ესპანეთი) — ფილიპო ვოლანდრი (5, იტალია) 7:5 2:6 6:1; ნიკოლას ლაპენტი (ეკვადორი) — ედუარდო შვანკი (არგენტინა) 1:6 6:4 7:6; ფაბიო ფონინი (იტალია) — ივო მინარი (ჩეხეთი) 6:7 6:2 6:3

**ნახევარფინალი**
მოია — ლაპენტი 6:2 3:6 7:6; ალმაგრო — ფონინი 6:1 6:1

### ქალები
ანტვერპენი. ბელგია. ჰარდი (დარბაზი). საპრიზო 600 000 დოლარი

**მეოთხედფინალი**
ჟუსტინ ენინი (1, ბელგია) — ალისა კლეიბანოვა (რუსეთი) 6:4 6:3; ტიმეა ბაჩინსკი (შვეიცარია) — დანიელა ჰანტუხოვა (3, სლოვაკეთი) 6:2 4:6 4:1 უარი; კარინ კნაპი (იტალია) — პატი შნიდერი (4, შვეიცარია) 6:2 6:7 7:6; ნა ლი (9, ჩინეთი) — სოფია არვიდსონი (შვედეთი) 7:5 6:4

**ნახევარფინალი**
ენინი — ბაჩინსკი 2:6 6:3 6:3; კნაპი — ლი 6:4 7:6

### ქალები
ვინა დელ მარი. ჩილე. თიხა. საპრიზო 200 000 დოლარი

**მეოთხედფინალი**
ფლავია პენეტა (1, იტალია) — კაია კანეპი (7, ესტონეთი) 6:3 6:3; პაულინ პარმენტიე (4, საფრანგეთი) — მარტინა მიულერი (5, გერმანია) 7:5 6:4; კლარა ზაკოპალოვა (8, ჩეხეთი) — ლოდრეს დომინგეს ლინო (ესპანეთი) 3:6 7:5 7:5; მარია კორიტცევა (უკრაინა) — მურია ლაგოსტერა ვივასი (ესპანეთი) 6:3 7:6

**ნახევარფინალი**
პენეტა — პარმენტიე 6:2 6:0; ზაკოპალოვა — კორიტცევა 6:2 7:5



### უელსის ღია პირველობა. ნიუპორტი. 11-17 თებერვალი

**მეოთხედფინალი**
რონი ოსალივანი (ინგლისი) — ალისტერ კარტერი (ინგლისი) 5:4; შონ მერფი (ინგლისი) — ჯო პერი (ინგლისი) 5:0; სტივ ჰენდრი (შოტლანდია) — სტივ ლი (ინგლისი) 5:2; მარკ სელბი (ინგლისი) — ჯონ ჰიგინსი (შოტლანდია) 5:2

**ნახევარფინალი**
ოსალივანი — მერფი 6:3; სელბი — ჰენდრი 6:4

# სარბიელი და კროკი

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ჩემპიონთა ლიგა | | | | | | |
| | | 19 თებერვალი | | | | | | |
| 23:45 | 1 | შალკე-პორტუ | 2.20 | 3.10 | 3.40 | 1.28 | 1.33 | 1.62 |
| 23:45 | 2 | ლივერპული-ინტერი | 2.40 | 3.10 | 3.00 | 1.35 | 1.33 | 1.52 |
| 23:45 | 3 | რომა-რეალი | 2.55 | 3.10 | 2.75 | 1.39 | 1.32 | 1.45 |
| 23:45 | 4 | ოლიმპიაკოსი-ჩელსი | 3.70 | 3.20 | 2.05 | 1.71 | 1.31 | 1.24 |
| | | 20 თებერვალი | | | | | | |
| 23:45 | 5 | სელტიკი-ბარსელონა | 4.80 | 3.20 | 1.80 | 1.91 | 1.30 | 1.15 |
| 23:45 | 6 | ლიონი-მანჩესტერი | 2.90 | 3.20 | 2.45 | 1.52 | 1.32 | 1.38 |
| 23:45 | 7 | არსენალი-მილანი | 2.15 | 3.10 | 3.50 | 1.26 | 1.33 | 1.64 |
| 23:45 | 8 | ფენერბაჰჩე-სევილია | 2.60 | 3.10 | 2.75 | 1.41 | 1.33 | 1.45 |
| | | ინგლისი. ჩემპიონატი | | | | | | |
| | | 18 თებერვალი | | | | | | |
| 23:45 | 43 | ბრისტოლი-კრისტალ პალასი | 2.20 | 3.20 | 3.00 | 1.30 | 1.26 | 1.54 |
| | | გერმანია. II ბუნდესლიგა | | | | | | |
| | | 18 თებერვალი | | | | | | |
| 23:45 | 163 | მიონხენგლადბახი-მაინცი | 1.90 | 3.20 | 3.85 | 1.19 | 1.27 | 1.74 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | შვეიცარია | | | | | | |
| | | ჩელენჯლიგა | | | | | | |
| | | 18 თებერვალი | | | | | | |
| 23:00 | 100 | ბელინცონა-ვილი | 2.20 | 3.20 | 2.80 | 1.30 | 1.23 | 1.49 |
| | | იტალია | | | | | | |
| | | სერია C1/A | | | | | | |
| | | 18 თებერვალი | | | | | | |
| 23:45 | 101 | ვერონა-ლენიანო | 1.95 | 2.80 | 4.10 | 1.14 | 1.32 | 1.66 |
| | | საფრანგეთი. II დივიზიონი | | | | | | |
| | | 18 თებერვალი | | | | | | |
| 23:30 | 102 | ნანტი-ბასტია | 1.95 | 2.90 | 3.90 | 1.16 | 1.29 | 1.66 |
| | | პორტუგალია. სუპერლიგა | | | | | | |
| | | 18 თებერვალი | | | | | | |
| 23:45 | 103 | ლეირია-ბელენენსეში | 3.00 | 3.00 | 2.30 | 1.50 | 1.30 | 1.30 |
| | | ჩეხეთი | | | | | | |
| | | 18 თებერვალი | | | | | | |
| 20:15 | 104 | ლიბერეცი-ბანიკი | 2.50 | 2.90 | 2.75 | 1.34 | 1.30 | 1.41 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10001 | შალკე-პორტუ | 2.60 | 2.00 | 3.50 | 1.13 | 1.49 | 1.27 |
| 10002 | ლივერპული-ინტერი | 2.80 | 2.00 | 3.05 | 1.16 | 1.45 | 1.20 |
| 10003 | რომა-რეალი | 3.00 | 2.00 | 2.95 | 1.20 | 1.48 | 1.19 |
| 10004 | ოლიმპიაკოსი-ჩელსი | 4.10 | 2.00 | 2.30 | 1.34 | 1.47 | 1.06 |
| 10005 | სელტიკი-ბარსელონა | 5.10 | 2.10 | 2.05 | 1.48 | 1.46 | 1.03 |
| 10006 | ლიონი-მანჩესტერი | 3.30 | 2.00 | 2.65 | 1.24 | 1.46 | 1.13 |
| 10007 | არსენალი-მილანი | 2.55 | 2.00 | 3.55 | 1.12 | 1.48 | 1.27 |
| 10008 | ფენერბაჰჩე-სევილია | 3.00 | 2.00 | 2.95 | 1.20 | 1.48 | 1.19 |
| 10043 | ბრისტოლი-კრისტალ პალასი | 2.60 | 2.00 | 3.50 | 1.13 | 1.49 | 1.27 |
| 10102 | ნანტი-ბასტია | 2.35 | 2.00 | 3.80 | 1.08 | 1.45 | 1.31 |
| 10103 | ლეირია-ბელენენსეში | 3.40 | 2.00 | 2.60 | 1.25 | 1.47 | 1.13 |
| 10163 | მიონხენგლადბახი-მაინცი | 2.30 | 2.00 | 4.00 | 1.06 | 1.46 | 1.33 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11001 | შალკე-პორტუ | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11002 | ლივერპული-ინტერი | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11003 | რომა-რეალი | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11004 | ოლიმპიაკოსი-ჩელსი | 5.30 | 10.00 | 20.00 | 6.00 | 4.40 | 4.00 | 20.00 | 10.00 | 3.00 |
| 11005 | სელტიკი-ბარსელონა | 7.50 | 10.00 | 20.00 | 8.50 | 4.40 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.40 |
| 11006 | ლიონი-მანჩესტერი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11007 | არსენალი-მილანი | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11008 | ფენერბაჰჩე-სევილია | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11043 | ბრისტოლი-კრ. პალასი | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11102 | ნანტი-ბასტია | 2.90 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11103 | ლეირია-ბელენენსეში | 4.40 | 10.00 | 20.00 | 5.00 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.50 |
| 11163 | მიონხენგლადბახი-მაინცი | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 12001 | შალკე-პორტუ | 1.60 | 2.10 |
| 12002 | ლივერპული-ინტერი | 1.60 | 2.10 |
| 12003 | რომა-რეალი | 1.70 | 1.90 |
| 12004 | ოლიმპიაკოსი-ჩელსი | 1.60 | 2.00 |
| 12005 | სელტიკი-ბარსელონა | 1.70 | 1.90 |
| 12006 | ლიონი-მანჩესტერი | 1.60 | 2.00 |
| 12007 | არსენალი-მილანი | 1.60 | 2.00 |
| 12008 | ფენერბაჰჩე-სევილია | 1.80 | 1.80 |
| 12043 | ბრისტოლი-კრისტალ პალასი | 1.70 | 1.90 |
| 12102 | ნანტი-ბასტია | 1.60 | 2.00 |
| 12103 | ლეირია-ბელენენსეში | 1.50 | 2.10 |
| 12163 | მიონხენგლადბახი-მაინცი | 1.90 | 1.70 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13001 | შალკე-პორტუ | 1.70 | 1.90 |
| 13002 | ლივერპული-ინტერი | 1.70 | 1.90 |
| 13003 | რომა-რეალი | 1.70 | 1.90 |
| 13004 | ოლიმპიაკოსი-ჩელსი | 1.70 | 1.90 |
| 13005 | სელტიკი-ბარსელონა | 1.70 | 1.90 |
| 13006 | ლიონი-მანჩესტერი | 1.70 | 1.90 |
| 13007 | არსენალი-მილანი | 1.70 | 1.90 |
| 13008 | ფენერბაჰჩე-სევილია | 1.70 | 1.90 |
| 13043 | ბრისტოლი-კრისტალ პალასი | 1.70 | 1.90 |
| 13103 | ლეირია-ბელენენსეში | 1.90 | 1.70 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14001 | შალკე-პორტუ | 1.80 | 2.00 |
| 14002 | ლივერპული-ინტერი | 1.85 | 1.95 |
| 14003 | რომა-რეალი | 1.90 | 1.90 |
| 14004 | ოლიმპიაკოსი-ჩელსი | 2.10 | 1.75 |
| 14005 | სელტიკი-ბარსელონა | 2.30 | 1.65 |
| 14006 | ლიონი-მანჩესტერი | 1.95 | 1.85 |
| 14007 | არსენალი-მილანი | 1.75 | 2.10 |
| 14008 | ფენერბაჰჩე-სევილია | 1.90 | 1.90 |
| 14043 | ბრისტოლი-კრისტალ პალასი | 1.80 | 2.00 |
| 14102 | ნანტი-ბასტია | 1.70 | 2.20 |
| 14103 | ლეირია-ბელენენსეში | 2.00 | 1.80 |
| 14163 | მიონხენგლადბახი-მაინცი | 1.70 | 2.20 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15001 | შალკე-პორტუ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15002 | ლივერპული-ინტერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15003 | რომა-რეალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15004 | ოლიმპიაკოსი-ჩელსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15005 | სელტიკი-ბარსელონა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15006 | ლიონი-მანჩესტერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15007 | არსენალი-მილანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15008 | ფენერბაჰჩე-სევილია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15043 | ბრისტოლი-კრ. პალასი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15102 | ნანტი-ბასტია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15103 | ლეირია-ბელენენსეში | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15163 | მიონხენგლადბახი-მაინცი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16001 | შალკე-პორტუ | 1.55 | 2.20 |
| 16002 | ლივერპული-ინტერი | 1.70 | 1.95 |
| 16003 | რომა-რეალი | 1.80 | 1.85 |
| 16004 | ოლიმპიაკოსი-ჩელსი | 2.45 | 1.40 |
| 16005 | სელტიკი-ბარსელონა | 3.30 | 1.25 |
| 16006 | ლიონი-მანჩესტერი | 2.05 | 1.65 |
| 16007 | არსენალი-მილანი | 1.52 | 2.20 |
| 16008 | ფენერბაჰჩე-სევილია | 1.82 | 1.82 |
| 16043 | ბრისტოლი-კრისტალ პალასი | 1.55 | 2.20 |
| 16102 | ნანტი-ბასტია | 1.38 | 2.65 |
| 16103 | ლეირია-ბელენენსეში | 2.10 | 1.60 |
| 16163 | მიონხენგლადბახი-მაინცი | 1.34 | 2.80 |

### გოლი:წყვილი-1თუ კენტი-2 (0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17001 | შალკე-პორტუ | 1.85 | 1.95 |
| 17002 | ლივერპული-ინტერი | 1.85 | 1.95 |
| 17003 | რომა-რეალი | 1.85 | 1.95 |
| 17004 | ოლიმპიაკოსი-ჩელსი | 1.85 | 1.95 |
| 17005 | სელტიკი-ბარსელონა | 1.85 | 1.95 |
| 17006 | ლიონი-მანჩესტერი | 1.85 | 1.95 |
| 17007 | არსენალი-მილანი | 1.85 | 1.95 |
| 17008 | ფენერბაჰჩე-სევილია | 1.85 | 1.95 |
| 17043 | ბრისტოლი-კრისტალ პალასი | 1.85 | 1.95 |
| 17102 | ნანტი-ბასტია | 1.85 | 1.95 |
| 17103 | ლეირია-ბელენენსეში | 1.85 | 1.95 |
| 17163 | მიონხენგლადბახი-მაინცი | 1.85 | 1.95 |

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**

# რონალდოს მორიგი შეუსრულებელი მისია



რონალდო პსვ-ში თამაშისას

**ქირურგთაგანი,** კერძოდ კი ერიკ როლანი რომელმაც რონალდოს მუხლზე ოპერაცია გაუკეთა, ამბობს, რომ ასეთი ტრავმის შემდეგ მინდორზე დაბრუნებას მხოლოდ საოცარი და ძალიან მოტივირებული ფეხბურთელი თუ შეძლებსო.

შეგახსენებთ, რომ რონალდოს „ლივორნოსთან" მატჩში მარჯვენა მუხლზე მყესები გაიწყვიტა და მინდორზე გასვლას ყველაზე ადრე 9 თვეში თუ შეძლებს. მსგავსი ტრავმა „კიჭას" ადრე ორჯერ ჰქონდა, ოღონდ მარცხენა მუხლზე.

ერიკ როლანი: „ამის შემდეგ ფეხბურთში სრულფასოვნად დაბრუნებას ძალიან დიდი ენერგია და შემართება დაჭირდება. სარეაბილიტაციო პერიოდი გაცილებით მეტხანს გასტანს, ვიდრე მყესების ჩვეულებრივი გაწყვეტისას, რადგან ეს უმძიმესი შემთხვევაა და კიდევ, ექიმებსაც ბევრი სამუშაო გვაქვს. რონალდო ვერ ირბენს, სანამ 6 თვე არ გავა, ხოლო ვარჯიშის განახლების უფლება და საშუალება 9 თვეზე ადრე არ ექნება. უნდა დაველოდოთ, თუ რა პერიოდში დაძლევს რონი ამ ტრავმითა და ოპერაციით გამოწვეულ შოკს. მერე კი უკეთ დავგეგმავთ სარეაბილიტაციო კურსის ეტაპებს. თუ ფეხბურთელი ამ ყველაფერს შემართებით და ოპტიმისტურად მოეკიდება, შეუძლებელი არაფერი იქნება".

ბრაზილიაში კი ბჭობენ, თუ რისი ბრალია, რომ 31 წლის ფეხბურთელმა კარიერაში მუხლის ურთულესი ტრავმა სამჯერ მიიღო. ბრაზილიის ფეხბურთის კონფედერაციის ანტისადოპინგო კომისიის კოორდინატორმა ბერნარდინო სანტიმ ყველაფერი ჰოლანდიურ პსვ-ს დააბრალა, სადაც რონალდო 1994-1996 წლებში თამაშობდა. სხვათა შორის, სანტიმ ამის გამო სამსახური დაკარგა...

„ყველაფერი პსვ-ს ბრალია. ჰოლანდიაში მას ძალიან ახალგაზრდა ასაკში მისცეს ისეთი პრეპარატები, რომლებიც არ უნდა მიეცათ. ისინი ხელს უწყობენ კუნთების ნაადრევად გაზრდა-გაძლიერებას და არაბუნებრივად მომწიფებას. ამ ყველაფრის შედეგი კი თავს 10, 15 და ზოგჯერ 20 წლის მერე იჩენს" — განაცხადა სანტიმ, მაგრამ მისი ბრალდებებისგან ბრაზილიის ფეხბურთის კონფედერაციამ თავი შორს დაიჭირა და თანამშრომელი სამსახურიდან დაითხოვა.

„მილანს" რონალდოსთან კონტრაქტი სეზონის ბოლოს უმთავრდება, მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა, „როსონერი" მის გასამხნევებლად ახალი კონტრაქტის გაფორმებაზე ფიქრობს. ეს „კიჭასთვის" ძალიან კარგი იქნება, რადგან ფსიქოლოგიური მდგრადობა ასეთი ტრავმის დაძლევის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია.

„რონი ნამდვილი მეომარია, რომელმაც კარიერაში უამრავი ბრძოლა მოიგო. იგი ყოველთვის ბოლომდე იხარჯება და ვფიქრობ, ამ გამოწვევისთვისაც მზადაა. „მილანის" პოზიცია ნათელია, „როსონერი" რონალდოს მხარს უჭერს და კონტრაქტის გახანგრძლივებაზე ფიქრობს, რაც ძალიან გვახარებს. ჩემს კლიენტს მინდორზე დაბრუნება სურს და მისი მთავარი მიზანი სარეაბილიტაციო კურსის წარმატებით გავლაა" — აღნიშნა რონალდოს წარმომადგენელმა ფაბიანო ფარამ.

**გიორგი ძაძამიძე**

# ბრიუსელში გრანდები დაიშალნენ



G-14-ის პრეზიდენტმა ჟან-მიშელ ოლამ თავისი ორგანიზაცია ისტორიას ჩააბარა

**როგორც** მოსალოდნელი გახლდათ, G-14 საბოლოოდ დაიშალა. მსოფლიოს უმდიდრესი კლუბების გაერთიანების გაუქმება ფაქტობრივად წინა თვეში გადაწყდა, როცა ფიფასა და უეფასთან მთავარ სადისკუსიო საკითხზე შეთანხმების მიღწევა მოხერხდა, რომლის თანახმადაც, ეს ორგანიზაციები კლუბებს სოლიდურ კომპენსაციას გადაუხდიან ფეხბურთელების სანაკრებო შეკრებებზე გაშვების სანაცვლოდ.

G-14-მა თვითლიკვიდაციის შესახებ ბელგიაში, კერძოდ კი ბრიუსელში გამართული შეკრების შემდეგ გამოაცხადა. შეთანხმება შედგაო — ბრიუსელის აეროპორტში მოკლედ განაცხადა ორგანიზაციის მესიტყვემ დერეკ მაკგლინმა. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ შეთანხმების მერე G-14 ფიფას საწინააღმდეგო საჩივრებს უკან გამოიწვევს.

გრანდების ეს გაერთიანება 2000 წელს დაარსდა და თავიდან მასში 14 კლუბი გაწევრიანდა — „მანჩესტერ იუნაიტედი", „ლივერპული", „რეალი", „ბარსელონა", „იუვენტუსი", „მილანი", „ინტერი", „ბაიერნი", „დორტმუნდი", „აიაქსი", პსვ, „პორტუ", „მარსელი" და პსჟ. ორი წლის შემდეგ კი მათ „ვალენსია", „ლევერკუზენი", „არსენალი" და „ლიონი" შეუერთდნენ.

**კოკი კანდელაკი**

## ანგოლა გონსალვეშით

**ანგოლის** ნაკრების თავკაც ოლივეირა გონსალვეშს შრომა დაუფასეს და ხელშეკრულება 2012 წლამდე გაუხანგრძლივეს. მეოთხედფინალში გასული გუნდის მწვრთნელმა განაცხადა, რომ მაროკოსგან მეტად სარფიანი წინადადება მიიღო, მაგრამ სამშობლოდან წასვლა არ ისურვა. გონსალვეშის ხელში ანგოლამ მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატზე ითამაშა, აფრიკის თასზე კი მეოთხედფინალში მასპინძელ განასთან წააგო.

## ფაბრეგასის სქელი ჯიბე

**„არსენალმა"** ფრანსესკ ფაბრეგასს კონტრაქტის გაგრძელება შესთავაზა. ესპანელი ისედაც „მიბმული" იყო გუნდთან 2014 წლამდე, მაგრამ კიდევ ორი წლის დამატებას და ჯამაგირის მომატებას უპირებენ. შედეგად ფაბრეგასი კლუბში ყველაზე მაღალხელფასიანი ფეხბურთელი გახდება. ამჟამად მისი ჯამაგირი კვირაში 50 ათასი გირვანქაა და ხელშეკრულების გახანგრძლივების მერე 80 ათასამდე გაიზრდება. ესპანელმა ამ სეზონში თორმეტი გოლი გაიტანა. მისი გადაბირება „ბარსელონას" სურდა, მაგრამ ფეხბურთელმა იუარა.

## პატარა ბიჭი ბარსაში

**„ვესინდარიოს"** 14 წლის ფორვარდი მაურო იკარდი „ბარსელონამ" გადაიბირა. ამ ბიჭისთვის „რეალი" და „ბარსა" იბრძოდნენ, მაგრამ კატალონიელებმა იმარჯვეს. იკარდი, მესი, სავიოლა და იგუაინი „ადიდასის" სარეკლამო სახეები არიან. 14 წლის ფეხბურთელმა ბარსელონელებთან ექვსწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. არგენტინაში დაბადებული, იტალიური პასპორტის მქონე ბიჭი ხუთი წლის წინ ოჯახთან ერთად გადაბარგდა ესპანეთში.

## რომარიომ დოპინგს მოუგო

**დოპინგის** მიღებაში მხილებულ რომარიოს სადისციპლინო კომიტეტმა 120-დღიანი დისკვალიფიკაცია მოუხსნა. ოქტომბერში, „პალმეირასთან" მატჩში „ვასკუ დე გამას" მოთამაშე-მწვრთნელ რომარიოს, ანალიზი აუღეს და სისხლში აკრძალული ფინასტერიდი უპოვეს. შედეგად ოთხთვიანი სასჯელი გამოუწერეს, რომლის ათვლაც 2007 წლის 18 დეკემბრიდან დაიწყო. რომარიომ გაასაჩივრა და საქმე მოიგო. მან განაცხადა, რომ ფინასტერიდი მის სისხლში იმ მალამოდან მოხვდა, რომელსაც თმის ცვენის წინააღმდეგ იყენებდა თითქმის ათი წლის განმავლობაში.

## ტრაპატონიმ კლოპი თქვა

**„ზალცბურგის"** მწვრთნელად, შესაძლოა, იურგენ კლოპი დანიშნონ. ავსტრიული გუნდიდან ჯოვანი ტრაპატონი მიდის, რომელმაც ირლანდიის ნაკრები ჩაიბარა და მის შემცვლელს უკვე ეძებენ. ამჟამად კლოპი გერმანიის მეორე ბუნდესლიგის „მაინცში" მუშაობს. „ბილდის" ცნობით, „ზალცბურგის" პატრონმა, მილიარდერმა დიტრიხ მატეშიცმა, განაცხადა, რომ ტრაპატონის შემცვლელი შემტევი ფეხბურთის ტრფიალი უნდა იყოს. იტალიელმა მატეშიცს სწორედ იურგენ კლოპი ურჩია.

## მეფე დედოფალს გაეყარა

**ცამეტწლიანი** თანაცხოვრების შემდეგ, ფეხბურთის მეფე პელე ცოლს გაშორდა. ამის შესახებ დიადი ბრაზილიელის პრესმდივანმა ოფიციალურად განაცხადა. 67 წლის პელემ გაყრის მიზეზად გადატვირთულობა დაასახელა. იმდენი საქმე მაქვს, რომ ოჯახისთვის ვერ ვიცლიო. ბრაზილიური მედიის ცნობით, ცოლ-ქმარს შორის ურთიერთობა რამდენიმე თვის წინ დაიძაბა და საქმე განცალკევებისკენ მიდიოდა. პელეს მეუღლე ასირია ლემოსი მომღერალია და მათ 11 წლის ტყუპები ჰყავთ — სელესტე და ჟოშუა.

## კიევიდან ბრაზილიელები თხოვდებიან

**კიევის** „დინამოს" ბრაზილიელი ფორვარდი კლებერი ექვსი თვით „პალმეირასს" ათხოვა. ფეხბურთელი უკრაინაში 2004 წლიდან თამაშობდა და 92 მატჩში 34 გოლი გაიტანა. ორჯერ ჩემპიონატი და სამჯერ თასი მოიგო. „დინამო" მალე კიდევ ერთ ბრაზილიელს, დიოგო რინკონსაც, სავარაუდოდ, „კორინთიანსში" გაანათხოვრებს. კიეველთა ახალმა მწვრთნელმა იური სიომინმა განაცხადა, რომ ბრაზილიელები ფიზიკურად მოისუსტებენ და გუნდს ვერ წაადგებიან.

## ტიგრესი ლაპუენტესია

**მექსიკის** ნაკრების ყოფილი თავკაცი მანუელ ლაპუენტე „ტიგრესის" მწვრთნელად დააბრუნეს. ლაპუენტემ ამერიკო გალიეგო შეცვალა და კონტრაქტი სეზონის ბოლომდე მას შემდეგ გააფორმა, რაც გუნდმა „პაჩუკასთან" 1:6 წააგო. „ტიგრესი" ექვს ტურში ოთხჯერ დამარცხდა და გალიეგო ამიტომ მოხსნეს. მანუელ ლაპუენტეს ხელქვეით მექსიკის ნაკრები შინ, მსოფლიოს 1986 წლის ჩემპიონატის მერვედფინალში გავიდა. ლაპუენტე „ტიგრესს" 1984-86 წლებში თავკაცობდა.

**ვაჟა ხუციშვილი**

## ინგლისი

### ასოციაციის თასი
### 1/8 ფინალი

**მანჩესტერი 4:0 არსენალი**
1:0 რუნი (16), 2:0 ფლეტჩერი (20), 3:0 ნანი (38), 4:0 ფლეტჩერი (74)
მანჩესტერი: ვან დერ სარი, ბრაუნი, ფერდინანდი, ვიდიჩი, ევრა, ფლეტჩერი, კერიკი, ანდერსონი (სქოულზი 72), პარკი, რუნი (საა 71), ნანი
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
არსენალი: ლემანი, ჰოიტი, გალასი, ტურე, ტრაორე, ებუე, ფაბრეგასი (ფლამინი 70), ჟილბერტო სილვა, გლები (ადებაიორი 70), და სილვა (სენდეროსი 71), ბენდტნერი
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
გაფრთხილება: ფერდინანდი, რუნი, ფლეტჩერი, და სილვა, ჟილბერტო სილვა, ადებაორი
გაძევება: ებუე (49)
მსაჯი: უაილი
76 000 მაყურებელი

**ჩელსი 3:1 ჰადერსფილდი**
1:0 ლამპარდი (18), 1:1 კოლინზი (45), 2:1 ლამპარდი (60), 3:1 კალუ (70)
ჩელსი: კუდიჩინი, პაულუ ფერეირა, ბენ-ჰაიმი, ტერი, ბრიჯი, სიდველი (შევჩენკო 75), ობი მიკელი, ლამპარდი (ესიენი 81), კალუ, პიზარო (ანელკა 85), სინკლერი
მწვრთნელი: ავრაამ გრანტი
მსაჯი: კლატენბურგი
41 324 მაყურებელი

**ლივერპული 1:2 ბარნსლი**
1:0 კუიტი (32), 1:1 ფოსტერი (57), 1:2 ჰოვარდი (90)
ლივერპული: იტანჯე, ფინენი, კარაგერი, ჰიპია, რიისე, ბენაიუმი, ლუკაში (ჯერარდი 75), ხაბი ალონსო, ბაბელი (კიუელი 69), კუიტი, კრაუჩი
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
ბარნსლი: სტილი, ჰასელი, სოუზა, ფოსტერი, კოჟლუკი (ვან ჰომუტი 60), დივეინი, დე სილვა, ჰოვარდი, ლეონი (კემპბელ-რაისი 71), ფერენცი, ნარდიელო (ოდეჯაი 55)
მწვრთნელი: საიმონ დეივი
გაფრთხილება: ხაბი ალონსო, კარაგერი, ვან ჰომუტი
მსაჯი: ეტკინსონი
42 449 მაყურებელი

**როვერსი 1:0 საუთჰემპტონი**
1:0 ლამბერტი (84)

**ქოვენთრი 0:5 ვესტ ბრომვიჩი**
0:1 ბრანტი (12), 0:2, 0:3 ბედნარი (59, 693), 0:4 მილერი (76), 0:5 გერა (78)

**კარდიფი 2:0 ვულვზი**
1:0 უიტინგემი (2), 2:0 ჰასელბაინკი (11)

**შეფილდი 0:0 მიდლსბრო**

**პრესტონი 0:1 პორტსმუთი**
0:1 კარტერი (90ს.კ)


„მანჩესტერმა“ და ანდერსონმა „არსენალს“ სირცხვილი აჭამეს

# აკენწლილი არსენალი

**„ფანტასტიკურად** ვითამაშეთ“ — ხარობდა ალექს ფერგიუსონი „არსენალის“ განადგურების შემდეგ. ჩემპიონობისთვის მებრძოლი მეტოქეები წილისყრამ თასის მერვედფინალში შეახვედრა და „მანჩესტერმა“ „მეთოფეებს“ გაკვეთილი ჩაუტარა. არსენ ვენგერმა ძირითად შემადგენლობაში ადებაიორი და ფლამინი არ ათამაშა, რომლებიც შეცვლაზე შევიდნენ, ფერგიუსონმა კი კრიშტიანუ რონალდუ და გიგზი დაასვენა.

„მანჩესტერმა“ თავბრუ დაახვია სტუმრებს და გოლმაც არ დაახანა. კარისკენ ზურგით მდგომმა უეინ რუნიმ თავით გაიტანა, ასევე თავით შეაგდო დარენ ფლეტჩერმა, ნანიმ კი ფეხით მესამე მიაყოლა. 22 წუთში გაშვებულმა სამმა გოლმა „არსენალი“ დაჩოქა, მეორე ტაიმის დასაწყისში კი ევრასთან უხეშობისთვის ებუე გააძევეს და კაცნაკლული სტუმრები სულ უმწეოდ დარჩნენ. ფლეტჩერმა, კვლავ თავით, სხვაობა ოთხამდე გაზარდა და დუბლი მიითვალა, მერე კი ძვლების ჭახა-ჭუხი ატყდა. ნაწყენმა „მეთოფეებმა“ უხეშობას უმატეს და კინალამ ჩხუბი ატყდა. ერთ ეპიზოდში ნანიმ ბურთი აკენწლა, რაც სტუმრებმა შეურაცხყოფად მიიღეს და პორტუგალიელს ეუხეშნენ. უილიამ გალასმა ნანის უკნიდან მუხლი ამოჰკრა და გასაძევებელი იყო, მაგრამ მსაჯმა დაინდო.

„არსენალი“ ცოტა ხნის წინ „ტოტენჰემმა“ ლიგის თასიდან გამოაგდო და სხვაობა იქაც ოთხბურთიანი (0:4) გახლდათ, არსენ ვენგერმა კი თქვა: „ჩვენი მიზანი ამ სეზონში ნათელია — პრემიერლიგა და ჩემპიონთა ლიგა. ყველა ფრონტზე ვერ გავქაჩავთ და არჩევანის საშუალება არ გვაქვს. სამ დღეში გონს უნდა მოვიდეთ, რადგან „მილანთან“ ბრძოლა გველის. სათადარიგოთა სკამზე მთლად ჯანმრთელი ერთი ფეხბურთელიც კი არ მყავდა და ასე მოთამაშე „მანჩესტერთან“ თამაშის შემობრუნება შეუძლებელია“.

ჩემპიონლიგის მეთოთხმეტეადგილოსანმა „ბარნსლიმ“ „ლივერპული“ შეარცხვინა. რაფაელ ბენიტესმა მატჩიდან მატჩამდე შემადგენლობის ცვლის პრინციპს არ უღალატა და წააგო. კარში ხოსე რეინას მაგივრად შარლ იტანჯე იდგა, სტივენ ჯერარდი კი შეცვლაზე შევიდა, როცა გუნდს გაუჭირდა. ფერნანდო ტორესს საერთოდ არ უთამაშია, დირკ კუიტმა 13-მატჩიანი უგოლო სერია შეწყვიტა და მასპინძლები დააწინაურა, მაგრამ „ბარნსლი“ არ იყო ჯაბანი. განსაკუთრებით კარგად სტუმართა მეკარემ ლუკ სტილმა ითამაშა მას შემდეგ, რაც სტივენ ფოსტერმა გაათანაბრა. ჯერარდისა და კიუელის შესვლამაც ვერ უშველა „ლივერპულს“ და ბოლო წუთზე ბრაიან ჰოვარდმა ის გოლი გაიტანა, რომელმაც მალე შესაძლოა, რაფაელ ბენიტესის მოხსნა გამოიწვიოს.

ტრავმამოშუშებული ჯონ ტერის და ფრენკ ლამპარდის დაბრუნება „ჩელსის“ უმალ დაეტყო. ლამპარდმა „ჰადერსფილდთან“ დუბლი შეასრულა და მე-100 და 101-ე „არისტოკრატული“ გოლები მიითვალა. სალომონ კალუმ მესამე მიაყოლა, ნამატჩევს კი ავრაამ გრანტმა თქვა: „ვიცი, რომ სეზონის ბოლოს ფრენკ ლამპარდს წასვლა უნდა, მაგრამ მისი გაშვება არ გვსურს. ყველანაირად ვცდილობთ, კონტრაქტის გაგრძელებაზე დავიყაბულოთ. მსოფლიოში ვერ ნახავთ ამდენი გოლის გამტან ნახევარმცველს. ლამპარდი „ჩელსის“ სჭირდება“.

**ვაჟა ხუციშვილი**

# რომასა და ინტერის სიტყვიერი ომი

**„რომასა“** და „ინტერს“ შორის ვითარება ერთიორად დაიძაბა. იტალიის საფეხბურთო სამყაროში დღეს ძირითადი სალაპარაკო თემა „ნერაძურისადმი“ მსაჯების კეთილგანწყობა და მილანელთა სასარგებლოდ დაშვებული შეცდომებია. ცოტა ხნის წინ ამაზე „ჯალოროსის“ კაპიტანმა ფრანჩესკო ტოტიმაც ისაუბრა, რაც „ინტერის“ ბანაკში არ მოეწონათ და კლუბის დირექტორმა ლელე ორიალიმ ცინიკურად განაცხადა — ჩვენი ბრალი არ არის, „რომამ“ „სიენასთან“ 0:3 რომ წააგოო.

ცხადია, ორიალის სიტყვებმა უკვე „ჯალოროსის“ გაღიზიანება გამოიწვია და პასუხმაც არ დააყოვნა. ამ თემაზე ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული კომენტარი „რომას“ ტექნიკურმა დირექტორმა ბრუნო კონტიმ გააკეთა.

„მჯერა, ორიალი უკვე ნანობს იმ სიტყვების თქმის გამო, რადგან მან ისეთი სისულელეები ილაპარაკა, საქმეს მხოლოდ თუ გააფუჭებდა და ვითარებას კიდევ უფრო დაძაბავდა. მირჩევნია ცუდი დღე მქონდეს და 0:3 წავაგო გადარჩენისთვის მებრძოლ გუნდთან, ვიდრე დაუმსახურებლად ვიგებდე მატჩებს. ვფიქრობ, ამაში ყველა ნორმალურად მოაზროვნე ადამიანი დამეთანხმება. მიუხედავად მცირე ჩავარდნებისა, ბრწყინვალე სეზონს ვატარებთ და იმედია, ასე გავაგრძელებთ. ხოლო ინტერელებს თუ ასეთი რეაქციები ექნებათ, ესე იგი რაღაც პირადი პრობლემები ჰქონიათ“ — განაცხადა კონტიმ.

**გიორგი ძაძამაძე**

# პალერმომ ტალანტი იყიდა

**სიცილიურმა** „პალერმომ“ 18 წლის ნიჭიერი დანიელი ცენტრალური მცველი საიმონ კიაერი ჩაიგდო ხელში. იგი „მიდტიულანდიდან“ „როზანეროში“ 1 ივლისიდან ოფიციალურად გადავა. შეთანხმების ფინანსური დეტალები არ ხმაურდება.


საიმონ კიაერი

კიაერი დანიის 19-წლამდელთა ნაკრების კაპიტანია და თავის პოზიციაზე ევროპაში ერთ-ერთ უნიჭიერეს ფეხბურთელად ითვლება. მას უამრავი მსურველი ჰყავდა, „რეალისა“ და „ლივერპულის“ ჩათვლით. თუმცა სიცილიელთა წინადადებამ მცველი და მისი ამჟამინდელი კლუბი ყველაზე მეტად მოხიბლა.

„მართლაც მიხვდები, თუ რა ნიჭიერია ეს ბიჭი, როცა მას „ლივერპულის“ სკაუტები აკვირდებიან და გეუბნებიან — უკვე ძირითად შემადგენლობაში თამაშისთვისაა მზადო. ლეო მესი, უეინ რუნი, დოს სანტოსი — იგი ამათსავით განსაკუთრებულია. „ლილმა“ და „მონაკომ“ პირველებმა გამოიჩინეს ინტერესი, მერე „რეალი“ და უამრავი სხვა კლუბი იყო. თუმცა აქამდე ყველა შემოთავაზებაზე უარს ვამბობდით, რადგან კიაერი გაცილებით მეტს იმსახურებდა“ — განაცხადა კიაერის აგენტმა მიკელ ბეკმა.

**ძოძი ძანდელაძე**

## ლემერს არ აპატიეს

**ტუნისის** ნაკრების მწვრთნელი როჟე ლემერი მოხსნეს. აფრიკის ერონვნებათა თასის მეოთხედფინალში გუნდი კამერუნთან 2:3 დამარცხდა და ფრანგს ნახევარფინალში ვერგასვლა არ აპატიეს. ლემერის კონტრაქტი ივნისში იწურებოდა, მაგრამ ჩამთავრება არ აცალეს და მისი შემცვლელის ძებნა დაიწყეს. ევროპის ჩემპიონი (2002) ფრანგი ტუნისში ხუთი წელი მუშაობდა და 2004-ში აფრიკის თასი მოიგო.

## გალიანი: ფეხბურთი ჩოგბურთია

**ადრიანო გალიანი** ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალის წილისყრისას გუნდების განთესვას ითხოვს. „მილანის“ ვიცე-პრეზიდენტი ამ იდეით იტალიის პროფესიული საფეხბურთო ლიგის სხდომაზე გამოვიდა. „საუბედუროდ, მერვედფინალში ერთმანეთს ხვდებიან გუნდები, რომლებიც უმდიდრესთა ათეულში არიან. „რომა“„ და „რეალი“, „მილანი“ და „არსენალი“, „ინტერი“ და „ლივერპული“ — თქვა გალიანიმ — უკვე დროა, უეფამ განთესვის წესი გამოიყენოს, როგორც საჩოგბურთო ტურნირებში. ვიმედოვნებ, რომ მიშელ პლატინი მომავალში ამას გაითვალისწინებს, თორემ რა გამოდის? სამი გრანდი გავარდება, შედარებით უსახელოები კი მეოთხედფინალში გავლენ.

## ვან ბასტენი აიაქსში

**„აიაქსის“** მწვრთნელად, შესაძლოა, მარკო ვან ბასტენი დაინიშნოს. იგი ჰოლანდიის ნაკრებს ევრო 2008-ის შემდეგ დატოვებს და მის შემცვლელს უკვე ეძებენ. თავის მხრივ, ვან ბასტენს ახალი სამუშაო სჭირდება. „ალგემევენ ბალდის“ ცნობით, „აიაქსის“ შეფებმა ვან ბასტენთან მოლაპარაკება უკვე დაიწყეს და გამორიცხული არაა, კონტრაქტი მომავალ კვირაში გააფორმონ.

## ჩემი ბრალი არაა!

**მიკაელ ესიენს** თავის მართლება მოუწია მას შემდეგ, რაც გაზეთებში მისი ფოტო გამოჩნდა „არსენალის“ მაისურით. „გასულ სეზონში, „არსენალთან“ მატჩის შემდეგ, მე და ადებაიორმა მაისურები გავცვალეთ. მერე განაში ჩავედი, სადაც „თამაშის უფლების“ პროექტში ვმონაწილეობდი. „არსენალის“ სამოსი მაშინ ჩავიტანე და ჩემს მეგობარ ერიკს ვაჩუქე. ჩემთან გოგო მოვიდა და სურათის გადაღება მთხოვა. მატჩის შემდეგ წელსზემოთ შიშველს სურათის გადაღება არ მინდოდა, ერიკს მაისურა ვთხოვე და ჩავიცვი. რა ვიცოდი, თუ გოგო ფოტოს გაზეთში მიიტანდა! მე „ჩელსის“ ერთგული ვარ და ვაცხადებ, რომ „არსენალში“ გადასვლას არ ვაპირებ“ — თქვა ესიენმა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# მეათე ნომრით ანგელა მერკელი




ლუკა ტონის დამჭერი გუშინ არავინ იყო

**ალექსანდრე იაშვილის** პასით ჯოშუა კენედიმ „ლევერკუზენთან“ გაათანაბრა და „კარლსრუეს“ ქულა გადაურჩინა. ერთი საათის თავზე სტუმრები 2:0-ს იგებდნენ, მაგრამ მასპინძლებმა მათი ნაჯაფი 18 წუთში გააქრეს.

გახსნილ თამაშში ორივე გუნდს ბლომად მომენტი ჰქონდა და საიმონ როლფსმა „ლევერკუზენი“ მალევე დააწინაურა — საჯარიმოს ხაზთან ბურთს ამოსცხო, რომელიც მეკარისგან მარცხენა კუთხეში ჩაეშვა. ამის მერე დამხვდურებს გათანაბრება მართებდათ, როცა იაშვილის დარტყმულსა და ადლერის მოგერიებულ ბურთს ფროიზმა მიუსწრო, მაგრამ გრეშკომ კარის ხაზიდან გამოაბრძანა.

მეორე ტაიმში კონტრშეტევებზე „ლევერკუზენს“ არაერთხელ შეეძლო სხვაობის გაზრდა, თუმც მხოლოდ ერთის გატანა მოახერხა. შტეფან კისლინგმა საჯარიმოში მიილო ბურთი და ცაციათი შეაგდო.

„კარლსრუემ“ მალევე გაქვითა და იმტაზე მოვიდა. ფროიზმა მკერდით დაიგდო ბურთი და მახვილი კუთხიდან გაიტანა, შემდეგ კი იაშვილმა ჩააბზრიალა საჯარიმოში და ავსტრალიელმა კენედიმ თავით ცხრიანში შეჭედა.

„შალკეს“ შვიდმატჩიანი წაუგებელი სერია პარასკევს შეწყდა. კევინ კურანის ორჯერ მაინც შეეძლო გატანა პირველ ტაიმში, მაგრამ სამიზნე ვერ გაისწორა. შესვენების მერე კი სანჩესმა გატეხა სტუმართა დაცვა და მეკარის მოგერიებულს დაამატა — 1:0. „ხუმარებმა“ ნაადრევად ირწმუნეს გამარჯვება, რაც 11 წუთში ორ გაშვებულ გოლად დაუჯდათ. გრაფიტემ მცველის შეცდომით ისარგებლა და ათი მეტრიდან გაიტანა. გოლის ავტორი 84-ე წუთზე „შალკეს“ მეკარემ საჯარიმოში წააქცია, პენალტი და — 1:2.

ბოლოადგილოსანმა „დუისბურგმა“ იბრძოლა და „შტუტგარტთან“ ორბურთიანი სხვაობის გაბათილება მოახერხა, მაგრამ მერვე საშინაო მარცხს მაინც ვერ ასცდა. სტუმრები მარიო გომესმა დააწინაურა ახლოდან გატანილით და მანვე ტაიმის მიწურულს მეორე შეაგდო. შესვენების შემდეგ მასპინძლები გამოცოხლდნენ და რვა წუთში მეტოქეს ორი გოლით უპასუხეს. კლაუდიუ ნიკულესკუმ 25 მეტრიდან საჯარიმო დარტყმით სხვაობა შეამცირა, მანარე იშიაკუ კი მეკარესთან პირისპირ გავიდა და ფეხი არ არევია — 2:2. „დუისბურგის“ ფანები ქულას ზეიმობდნენ, მაგრამ ბოლო წუთზე თომას ჰიცლშპერგერმა სიხარული ჩაუმწარა და ზედიზედ ორი მატჩის წამგებ „შტუტგარტს“ სამი ქულა გაუფორმა.

„ნიურნბერგი“ ისე რაა და „ვერდერთან“ მეოცე წუთზე კაცი რომ გაუძევეს, რაღა იქნებოდა? ივან საენკომ სამ წუთში მოასწრო ორი ყვითელი ბარათის მიღება და მოედნიდან მიაბრძანეს. მარკუს როზენბერგმა ნახევარი საათის თავზე დააწინაურა „მუსიკოსები“, ხოლო მეორე გოლი თამაშის ბოლოს გავიდა — ივან კლასნიჩმა თავურით გაიტანა.

კოტბუსში „დორტმუნდთან“ მატჩის დაწყებამდე მოედანზე გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი გავიდა, რომელსაც „კოტბუსის“ საპატიო ფანის წოდება მიანიჭეს — 10-ნომრიანი მაისურა უბოძეს. მასპინძლებს კანცლერმაც ვერ უშველა და უკვე მერვე წუთზე აგებდნენ. მლადენ პეტრიჩმა ბურთი ხარიხის ქვეშ შეაძვრინა. „დორტმუნდის“ დაცვა მეტოქეს დიდად არ შეუწუხებია და პეტრიჩმა მეორე გოლისთვის ბოლოსლა მოიცალა, როცა კუთხურიდან ჩაწოდებულს თავი ჰკრა.

სტუმრად ყველაზე მეტის გამშვებმა „არმინიამ“ ბერლინში „ჰერტასთან“ იჭიდავა, მაგრამ ბოლო წუთზე გოლი მაინც მიიღო. რაფაელს ბურთი მცველისგან მიუვიდა და ისე დაარტყა, რომ მეკარეს შანსი არ დაუტოვა.

„ბაიერნმა“ და „ჰამბურგმა“ კი იოლად მოიგეს — ერთნაირი ანგარიშით დაამარცხეს „ჰანოვერი“ და „ბოხუმი“.

**ვაჟა ხუციშვილი**

## გერმანია

### ბუნდესლიგა XX ტური

**ჰამბურგი 3:0 ბოხუმი**

1:0 ოლიჩი (40), 2:0, 3:0 იაროლიმი (64, 71)
ჰამბურგი: როსტი, კომპანი, რაინჰარდტი, მატისენი, დე იონგი, ტროხოვსკი (პუცილო 81), დემელი, იაროლიმი (ოჯიჯა-ოფოე 83), ბერჯამინი, გერერო, ოლიჩი (ზიდანი 75)
მწვრთნელი: ჰუუბ სტივენსი
ბოხუმი: ლაშტუვკა, ბიონგი, მალტრიცი, იაშია, პფერტცელი (შრიოდერი 29), აზაუალი (ონო 57), ცდებელი, დაბროვსკი, იმჰოფი, აუერი (მეცელი 67), შესტაკი
მწვრთნელი: მარსელ კოლერი
გაფრთხილება: იაშია, დაბროვსკი, მალტრიცი
მსაჯი: გრაფე
50 000 მაყურებელი

**ჰანოვერი 0:3 ბაიერნი**

0:1, 0:2, 0:3 ტონი (58, 64, 82)
ჰანოვერი: ენკე, ისმაელი (ვინიციუსი 46), ჩერუნდოლო, ფარენჰორსტი, შულცი, ბალიჩი, ჰუსტი (ჰაშემიანი 76), როზენტალი, ლალა (ბრუდინკი 69), კრებსი, ჰანკე
მწვრთნელი: დიტერ ჰეკინგი
ბაიერნი: კანი, ლუსიო, სანიოლი (ლელი 69), ლამი, ვან ბუიტენი, ვან ბომელი (ოტლი 84), ზე რობერტო, შვაინშტაიგენი, ჰამიტ ალტინტოპი, კლოზე (პოდოლსკი 84), ტონი
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი
გაფრთხილება: ისმაელი, ვან ბუიტენი, ბალიჩი, ჩერუნდოლო
მსაჯი: მერკი
49 000 მაყურებელი

**კოტბუსი 0:2 დორტმუნდი**

0:1, 0:2 პეტრიჩი (8, 84)
კოტბუსი: ტრემელი, ციბიგი, მიტრესკი, ანგელოვი, ცვიტანოვიჩი, რადელიჩი, შკელა (ვასილიევიჩი 73), როსტი, ბასილა (იელიჩი 59), პაპადოპულოსი, სიორენსენი (ალონეფტისი 81)
მწვრთნელი: ბოიან პრაშნიკარი
დორტმუნდი: ციგლერი, კოვაჩი (ვიორნსი 46), ჰუმელსი, ამედიკი, კრინგე (ბრჟენსკა 84), კელი, ტინგა, ფედერიკო (კრუსკა 73), ფრაი, ბაკლი, პეტრიჩი
მწვრთნელი: თომას დოლი
გაფრთხილება: კელი, პეტრიჩი
მსაჯი: ზიპელი
18 000 მაყურებელი

**შალკე 1:2 ვოლფსბურგი**

1:0 სანჩესი (65), 1:1, 1:2 გრაფიტე (73, 84)
შალკე: ნოიერი, კრსტაიჩი, ბორდონი, რაფინია, ვესტერმანი, ერნსტი, ქობიაშვილი (შტრაიტი 82), რაკიტიჩი (ზე რობერტო 87), კურანი, ლიოვენკრანდსი (სანჩესი 62), ასამოა
მწვრთნელი: მირკო სლომკა
ვოლფსბურგი: ბენალიო, რიკარდუ კოშტა (ძეკო 78), მადლუნგი, შიაფერი, შიმუნეკი, ჟოსუე, გენტნერი, სანტანა (ჰასებე 61), დეჯაგა, მარსელინიო (რიტერი 83), გრაფიტე
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი
გაფრთხილება: რაკიტიჩი, რიკარდუ კოშტა, ნოიერი, დეჯაგა
მსაჯი: კემპტერი
61 000 მაყურებელი

**ჰერტა 1:0 არმინია**

1:0 რაფაელი (90)
ჰერტა: დრობნი, შაჰედი, ფათჰი, ფრიდრიხი, შიმუნიჩი, კაჩარი (მინეირუ 65), ებერტი, ლუშტენბერგერი, შ ჩელი (ოკორონკვო 78), პანტელიჩი, რაფაელი
მწვრთნელი: ლუსიენ ფავრი
არმინია: ჰაინი, გაბრიელი, შულერი, კორჟინეცი, კუჩერა, მიატოვიჩი, კამპერი (კირხი 72), მარქსი, ნკოსი (ჰალფარი 80), ვიშნიარეკი, ზუმა (რაუ 88)
მწვრთნელი: მიხაელ ფრონცეკი
გაფრთხილება: შკაჩელი, კუჩერა, ფათჰი
მსაჯი: პერლი
35 000 მაყურებელი

**დუისბურგი 2:3 შტუტგარტი**

0:1, 0:2 გომესი (16, 41), 1:2 ნიკულესკუ (49), 2:2 იშიაკუ (57), 2:3 ჰიცლშპერგერი (90)
დუისბურგი: ბოიკერტი, ვეინიო (ვებერი 26), შლიკე, ფილიპესკუ (შრიოტერი 78), გეორგიევი, გრლიჩი (იშიაკუ 40), ვილი, ტარარაჩე, ტიფერტი, ნიკულესკუ, მიოლდერსი
მწვრთნელი: ედუარდ ბომერი
შტუტგარტი: ულრაიხი, მანინი, ტაშჩი, ფერნანდუ მეირა, ბეკი, ჰიცლშპერგერი, პარდო, ჰილბერტი, ბაშთურქი (ხედირა 89), გომესი, მარიკა (კაკაუ 69)
მწვრთნელი: არმინ ფეე
გაფრთხილება: მიოლდერსი, ფილიპესკუ, კაკაუ, შრიოტერი
მსაჯი: რაფატი
21 000 მაყურებელი

**ჰანზა 1:0 აინტრახტი**

1:0 რანი (76)
ჰანზა: ვახტერი, სებასტიანი, ლანგენი (ლენსე 86), ორესტესი, შტაინი, ბიულოვი, რატგები, რანი, ბარტელსი (შაპურზადე 56), კერნი, აგალი (ჰიანგე 56)
მწვრთნელი: ფრანკ პაგელსდორფი
აინტრახტი: ნიკოლოვი, კირიაკოსი, შპიხერი, ოხსი, კრისი, გალინდო, ვაისენბერგერი (მაჰდავიქია 70), ფინკი (კაიო 83), კიოლერი, ამანატიდისი, ფენინი (მანციოსი 82)
მწვრთნელი: ფრიდჰელმ ფუნკელი
გაფრთხილება: ლანგენი, კირიაკოსი, აგალი, გალინდო
მსაჯი: ზეემანი
17 000 მაყურებელი

**ვერდერი 2:0 ნიურნბერგი**

1:0 როზენბერგი (30), 2:0 კლასნიჩი (81)
ვერდერი: ვიზე, ფრიცი, ტოშიჩი, მერტეზაკერი, ბაუმანი, იენსენი, დიეგო, ვრანიეში (იოზილი 53), ჰანტი (ბიონიში 84), ალმეიდა (კლასნიჩი 63), როზენბერგი
მწვრთნელი: თომას შააფი
ნიურნბერგი: ბლაჟეკი, გლაუბერი, ვოლფი, რაინჰარდტი, პინოლა, კლუგე, კრისტიანსენი (ვიდოშიჩი 75), მნარი, საენკო, კოლერი, ადლერი (ენგელჰარდტი 27)
მწვრთნელი: თომას ფონ ჰესენი
გაფრთხილება: იენსენი, საენკო, კლუგე
გაძევება: საენკო (20)
მსაჯი: ბაიერი
38 000 მაყურებელი

**კარლსრუე 2:2 ლევერკუზენი**

0:1 როლფესი (6), 0:2 კისლინგი (58), 1:2 ფრაისი (60), 2:2 კენედი (78)
კარლსრუე: მილერი, გიორლიცი, ეგიმანი, აიხნერი, ფრანცი, მუცელი, ადუობე (კაპლანი 76), ჰაინალი, კენედი, ფრაისი, იაშვილი
მწვრთნელი: ედმონდ ბეკერი
ლევერკუზენი: ადლერი, კასტრო, ჰაგი, ფრიდრიხი, როლფესი, ბარნეტა, სარპეი, გრეშკო, ბარბარესი (კალსენ-ბრაკერი 85), კისლინგი, ბულიკინი (შნაიდერი 41)
მწვრთნელი: მიხაელ სკიბე
გაფრთხილება: ბულიკინი, კენედი, მუცელი, კისლინგი, ეგიმანი, ადლერი
მსაჯი: ფანდელი
28 000 მაყურებელი

